



დამკვეთი

1929 წ.

№ 48

საქართველო

La Géorgie
Indépendante

Revue mensuelle

DECEMBRE

1929—№ 48

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—მკითხველს.
კაქი—დიქტატურის ხერხემალი.
ხ. ფინცხალავა—ეროვნული საკითხი და ბოლშ.
—ლი—გ—საქართველო ციფრებით.
ა. შულგინი—უკრაინის საკითხი.

წ. ინგილა—ეროვნული ცენტრის დაცვისათვის.
უცხოეთის მიმოხილვა.
რას სწერენ ბოლშევიკებზე.
ბოლშევიკების თავდასხმა საქართველოში.
საქართველოს ამბები და სხვ.

მ კ ი თ ხ ვ ე ლ ს

ამ მე-48 ნომრით ოთხი წელიწადი უსრულდება ჩვენს გაზეთს «დამოუკიდებელ საქართველოს». იგი გამოვიდა პირველად იანვარს 1926 წ. ბუნებრივია ამიტომ. თუ ჩვენ ვვრძობთ ერთგვარ მოთხოვნების გამოვსახაურობს მკითხველს.

მკითხველი შორსაა, ჩვენი ხმა ხშირათ ვერ სწვდება მას. მისი—ჩვენ. ტლანქმა ძალამ გადმოგვისროლა აქეთ, უცხოეთს. მოგვგლიჯა სამშობლო არეს, მის გულისთქმას, მაჯის ცემას... აბა რომელ გაზეთს შეუძლია ასეთ პირობებში იცოცხლოს, იხვიროს?!

ღიას. პირობები ძნელია. მეტათ მძიმე, ხოლო არა იმდენათ ჩვენთვის, რამდენათ იმათთვის, ვინც შინ დარჩა. მას შემდეგ, რაც გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა, მდგომარეობა ათკაც გაუარესდა იქ; ჩვენი მაშინდელი ფრაზა. რომ ქართველ მკითხველს «ჭურში» ამყოფებს საოკუპაციო ხელისუფლებამ, უკვე უფერულია დღევანდელი მის ვითარების მიხედვით. ვინ ჩივის დღეს პრესის თუ სხვა თავისუფლებას, როცა ხალხი ფიზიკურ და მორალურ განადგურების წინა სდგას?!

შეგვიძლია მიუდგომელათ ვსთქვათ, რომ ჩვენმა ჟალარა ისტორიამ არ იცის მეორე ისეთი ხანა—იყო მის მონღოლთა, სპარსთა თუ ცარიზმის ბატონობის ხანა—, როცა მტარვალი ასეთის თანდათანობით და სულ მუდამ გაძლიერებულის ტემპით შესდგომოდა ერის სხეულის დარღვევას. მისი სულის ჩაკვლას, მის ღირსების და წმინდათა წმინდის შევიწმინდას. ჩვენ ვეწივართ, ათეული წლები გაივლის, განთავისუფლების შემდეგ, სანამ ერთი შესძლებს გაასწაროს და წარხლცოს, რაც ვერაფერ და გახრწნილ რეჟიმს წაუხდენია და წაუბილწავს.

მაგრამ ვერად წოდებული კოლექტივიზაცია,

რომელიც მხოლოდ ამა წლის მეორე ნახევარს დაატყდა თავს ჩვენს ხალხს მთელის თავის გამოიშვლებული სიმკაცრით, სრულს დაშლას უქადის მის ისედაც ღარიბ და ჩამორჩენილ მეურნეობას. სავალალო და გულის ამღვრევი კიდევ ისაა, რომ ჩვენი არამზადები, ქართველი კომუნისტები, ასი და მეტი პროცენტით ასრულებენ მოსკოვის დაკვეთებს. სტაცებენ აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობას სარჩოსაბადებელს, სტოვებენ მის წვირილ ცოლ-შვილს შიმშილის ულუფაზედ, და ეს მაშინ, როცა დასავლეთი საქართველო: იმერეთი, გურია, სამეგრელო, ახსანეთი საშინელ სენს შეუპყრია (პელაგრა), ზედი-ზედ მოუსავლელობის მიზეზით.

არამზადები წლებზედ ფეხს იდგმენ, რათა სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია იმავე ას პროცენტზე აიყვანონ, სათემო, სამაზრო და თვით საოლქო მასშტაბით. ხდება შეგნებული ნიველიზაცია, გათანასწორება ხალხისა სილატაკეში. ჩვენ მოვესწარით იმ დროს, როცა ხელისუფლება პირველყოფილ სათემო სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურას უბრუნებს ხალხს. კერძო საკუთრების აღმოფხვრა, არაფრის გაკეთება ცალკე, არაფრის გაყიდვა, სრული ნატურალიზაცია წარმოებისა და აღებმციემობის, და სათავეში სახელმწიფო, ეს საშინელი ლევიათანი, რომლის წინაშე ადამიანი, ხალხი უბრალო მტვერია, სხვა არაფერი.

კიდევ უარესი! კერძო საკუთრება არსებობს, თავისუფლება, მხოლოდ ერთი მუქა მტარვალისთვის; არაფერია მათთვის დაშლილი, აღკრძალული, დავლურს უვლიან ხალხის ზურგზედ, სჩადიან დანაშაულს დანაშაულზე, გამოუთქმელ სისამაგლეთ, რომლის გულისათვის დაწინაურებულ ქვეყნებში



სიკვდილით სჯიან... და სწორეთ ყველა ამის ჩამდენნი ათასობით ხვრეტენ იმავე ხალხის თავადადებულ შვილებს!

გვიწოდებდა, მართალი გითხრათ, თავის შეკავება, რომ ერთი არ შეეძახოთ—რას შერება ამ დროს რუსის ხალხი?! დიას, ტრალიკულია ჩვენი ერის სვებედი! გაინძრეს, ამოძრავდეს, ქვეყნიდან აღგვა მოეღოს; არ გაინძრეს, არ ამოძრავდეს, თითქო კიდევ უარესი: გადაგვარება, გადაშენება...

ჩვენი გაზეთი, მოგვხსენებათ, პოლიტიკური ორგანოა, ბრძოლის ორგანო. რას ურჩევს იგი მკითხველს, მთელს ერს? ბრძოლას? გამოსვლას? არა! და ამაშია ჩვენი ტრალედია; ჩვენი, ამ გაზეთის ხელმძღვანელთა! ჩვენ იძულებული ვართ კბილების ღრუბრით ვურჩიოთ ხალხს მოთმინება, ჯავრის გულში ჩაკვლა. ჩვენ გვესმის, მთელის არსებით ვცდილობთ გავიგოთ შენი მდგომარეობა, შორეულს, უხილავს მკითხველს, ყვაფ-ყორანებით გადაშავებულს მამულს! და ასეთსავე გაგვებს, შეგვებს მოველით შენგან, არა ჩვენი მდგომარეობისა, არამედ საერთაშორისო ვითარებისა, საბჭოთა კავშირის შინაგან ძალთა განწყობილებისა.

მოთმინება, მაგრამ არა პასივობა, ჯავრის გულში ჩაკვლა, მაგრამ არა სილაჩრე, გამჭირახი გონებით განსჭვრეტა რაც გარს გვარტყია უშუალოთ თუ შორიდან. უტყუარი შეფასება მტრის და საკუთარი ძალებისა, ცხრაჯერ გაზომვა, ერთხელ გადაჭრა—აი, ჩვენი ტაქტიკა, შენი ტაქტიკა, რომელიც დაგაკისრსა უღმობელმა ხანამ.

გადაჭრის ქამი რომ არ დააყოვნებს, ამას ესლა არ ექვირება არც ფიცი, არც მტკიცება, საკითხავია მეორე, ვართ თუ არა ჩვენ თვითონ მზათ?

ჩვენი გაზეთის პირველი ნომერი ასე იწყებოდა: «მთლიანი ფრონტით დამოუკიდებლობისაკენ!» რა შეიცვალა მას შემდეგ? არაფერი. მთლიანი ფრონტი დღეს უფრო საჭიროა, ვინემ მაშინ; დამოუკიდებლობა ისევ ისე მისასწრაფი მიხანია.

და რაც კიდევ უფრო საგულისხმა—ეს ის, რომ მთლიანი ფრონტი აღმოცენდა არა უცხო ნიადაგზედ, არამედ ნაკარნახევია, ნაბრძანები იქიდან, საქართველოდან. გაიხსენეთ აგვისტო-სექტემბერი 1924 წ., დამოუკიდებლობის კომიტეტი, ვისგან შესდგებოდა ის?! მამასადამე, სადაღ არაფერია, ერთი ფრონტისკენ ყველა, ვინც მამულის

ერთგულია, ვის ძარღვებში ქართველის სისხლი სჩქვს, ვის გულში შენახულა ერის ღირსება და სახელი!

ჩვენი გაზეთი განაგრძობს საქართველოს დროშის და მის გამომხატველ მთლიან ფრონტის ხაზზედ მუშაობს. შეიძლება ჰქონდა მას ნაკლი, შეცდომები, ჩვენ არ გვსურს თავის მართლება, მზათა ვართ მივიღოთ რჩევა და თანამშრომლობა. ვის შეუძლია ეს? მკითხველს, რა თქმა უნდა.

პირველ ყოვლისა, შორეულ, უხილავ მკითხველს! მას არ ძალუძს, მართალია, უშუალო კავშირი დაიჭიროს ჩვენთან, ვიცით ის მაღალი ზღუდეები, რომელიც მტერმა ამართა ჩვენს შორის. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ მას არ აკლია წადილი და მონდომება მოგვაწვდინოს ხმა...

ჩვენ გვესმის ეს ხმა, მთელი ერის ხმა, ვარჩევთ კიდევ მის ჰანგებს, გადაგვაქვს ქალაღზედ... ესმით თუ არა უცხოეთში შემოხიზნულ ქართველებს? აი, კითხვა, რომელსაც მათ ვუყენებთ. ჩვენ უფლებაც გვაქვს, ვფიქრობთ, ამ ოთხი წლის მუშაობის შემდეგ, მეტი ყურადღება, მეტი ინტერესი მოვთხოვოთ მათ ჩვენი გაზეთისადმი.

ეს არ უნდა იყოს დიდი მოთხოვნა, არც მსხვერპლი. გაიხსენეთ, რა დატოვეთ შინ, რისთვის გადმოიხიზნეთ და მაშინ მიხედებით, რომ თქვენი მსხვერპლი მხოლოდ წვეთია ათასების და ათიათასების... ცრემლში.

ქართველი ემიგრაცია რიცხვით ორჯერ ათასს სულამდე ადის ევროპაში. დიდი უმრავლესობა თავის შრომით ირჩენს თავს, არ გაუშუყვეტია კავშირი სამშობლოსთან, არც საერთო საქმესთან. «დამოუკიდებელი საქართველო» სწორეთ ამ კავშირის განმტკიცებას ემსახურება. აქედან აშკარაა, რომ თვითელი ქართველი ემიგრანტი თავის მოვალეობად უნდა სთვლიდეს მის გამაწერას.

გაზეთის ფურცლები, ვიმეორებთ, გაშლილია ყველასათვის, ვინც თანაუგრძნობს მის ხაზს. საზოგადო ხასიათის ყოველი წერილი, ყოველი ცნობა შინიდან ადგილს იპოვის მასში.

რაც შეიძლება მჭიდრო ხეობრივი კავშირი მკითხველთან, რაც შეიძლება მეტი შეგნება მამულიშვილურ წმინდა მოვალეობისა «დამოუკიდებელ საქართველოს» მიმართ!


მთლიანი ფრონტით დამოუკიდებლობისაკენ!

დ ი მ ტ ა ტ უ რ ი ს ხ მ რ ხ მ მ ა ლ ი

III.

დიქტატურის მესამე პერიოდს ახასიათებს ძველ ბოლშევიკურ გვარდიასა და რევოლუციის შემდეგ მოსულ ელემენტებს შორის პარტიული ხელმძღვანელობისთვის დაწყებული ბრძოლა. თავის შემადგენლობით პარტიაში შესული ახალი ელემენტი მეტათ ჭრელია. მისი აზროვნებაც და სულიერსვეთებაც ასეთივეა. პარტიაში ჩდებიან ახალი მიმდინარეობანი და ვგუფები. ამ რიგათ, თვით პარტია, როგორც მთელი, დიქტატურისთვის საიმედო დასაყრდნობ ძალას აღარ წარმოადგენს. ამიტომ პარტიის ადგილს

იჭერს—პარტაპარატი. პარტაპარატს მართავს ძველი ბოლშევიკური გვარდია, პარტაპარატი—პარტიას და ეს უკანასკნელი—საბჭოთა კავშირის. ამ ხანაში ძველ გვარდიის ხელშია პარტიის ყველა «ბრძანებელი სიმაღლეები». 1927 წ. დამლევს ძველი გვარდია შეადგენდა პარტიის წევრთა საერთო რიცხვის მხოლოდ 0,7 პროც., ხოლო მე-15 პარტიულ ყრილობის მიერ არჩეულ ცეკაში ძველი გვარდიის წევრთა რიცხვი უდრიდა 91,7 პროც. თვით ცეკაში ხელმძღვანელ როლს თამაშობს პოლიტიკური და კერძოთ გენერალური მდივანი. აქედან იწყება სტალინის ავ-



ტორიტეტის ზრდა და როლი ბოლშევიკური დიქტატურის ისტორიაში. თუ ტროცკის დავუჯერებთ, სტალინის საფრთხე ჯერ კიდევ ლენინმა დაინახა და ამიტომ გადასწყვიტა: მთავრობის თავმჯდომარეობა ეკისრა ტროცკის, ხოლო გენერალური მდივნობა მიეღო მას თავის თავზე. ლენინს ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა არ დასცალდა, მაგრამ მისი ეჭვები სტალინის შესახებ საეჭვოთ გამოართლდა. გენერალური მდივანი გახდა პარტიის ბატონ-პატრონი და მასთანამედველად ქვეყნის ფაქტიური მართველიც.

უეჭველია ერთხანს პარტაპარატი ბოლშევიკურ ძველ გვარდიას ემსახურებოდა, მისი ბატონობის იარაღი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რა რომ ლენინის მემკვიდრეებს შორის პარტიაში პირველობისთვის ბრძოლა დაიწყო, იგი გენერალური მდივნის იარაღი აღმოჩნდა. პარტაპარატის საშუალებით სტალინმა დაამარცხა ყველა თავისი მოწინააღმდეგე. აპარატის გარდა სტალინმა გამოიყენა აგრეთვე ძველსა და ახალ გვარდიას შორის პირველობისთვის არსებული ბრძოლა. ახალი გვარდია თანდათან შეიჭრა პარტიის სელმძღვანელ ორგანიზმში და ბოლოს საეჭვოთ დეპუტატობა ამახ. მაგალითათ პარტიის მე-12 ყრილობაზე დელეგატების 60 პროც. შეადგენდნენ ძველი ბოლშევიკები, ხოლო მე-15 ყრილობაზე—37,8 პროც. ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებში 1927 წ. დამლევს მომხდარ არჩევნების შემდეგ ძველი ბოლშევიკების რიცხვი უდრიდა მხოლოდ 2,8 პროც. შემდეგ წლებში ეს პროცენტი კიდევ უფრო შემოკლდა. ამ წლის აპრილში მომხდარ საკავშირო პარტიის კონფერენციაზე ძველი ბოლშევიკ დელეგატები შეადგენდნენ 30 პროც., ხოლო რევოლუციის შემდეგ შესულნი—31 პროც.

ასეთი ტაქტიკით სტალინმა ერთსა და იმავე დროს ორი კურდღელი დაიჭირა. ერთის მხრით დაამარცხა თავისი პირადი საშიში კონკურენტები ძველი გვარდიიდან და იმავე დროს მოიმადლიერა ახალი გვარდია და მეორე ხარისხიანი კომუნისტები, ისინი წინ წასწია. ტროცკი შესცვალა—გორბოვიძე, კამენევი-მიკოიანმა, ზინოვიევი-კიროვმა, რიკოვი-სირცოვმა, ბუხარინი-მოლოტოვმა, ტომსკი-კაგანოვიჩმა, ოკუჯავა და მდივანი-კახიანმა და ლოღობერიძემ და ასე. პარტიის ეს ახალი მართველი კადრი დაკავშირებულია პარტიის დღევანდელ ლიდერთან არა იდეით, არამედ—პირადი კარიერით და სამსახურით. სტალინის დამარცხებასთან ერთათ ილუპება მათი კარიერაც. აქ თავდება პარტიის კოლექტივის მნიშვნელობა და იწყება პირების.

სტალინისთვის გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს არა პარტაპარატს, არამედ პიროვნებებს, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციებს უდვიან სათავეში. თვით პარტაპარატი ესლა ფრაქციული ბრძოლის საგნათ გადაიქცა და როგორც ასეთი, შეიძლება მან ყოველთვის არ გაუმართლოს იმედები დიქტატორს. მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის და მისი გენერალური მდივნის უგლანოვის ისტორია ამის მაჩვენებელია.

მართალია, ესლა კომპარტიის პრესაში და კრე-


ბებზე ძლიერ ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ შინაპარტიულ დემოკრატიის შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ დემაგოგია არის და მეტი არასფერი. არასოდეს პარტიის წევრები და ორგანიზაციები ასე უფლება აყრილი არ ყოფილან, როგორც დღეს არიან. მაგრამ რადგან ოპოზიციას ამ მტკივან ადგილიდან მიაქვს იერიში და სურს ამ გზით პარტიის დაპყრობა, დიქტატურაც იძულებულია «პარტიულ დემოკრატიაზე» იდემაგოგოს. ან რა პარტიულ დემოკრატიაზე შეიძლება იქ ლაპარაკი, სადაც ფრაქციულ ბრძოლაში ჩეკა ერევა და ერთი მიმდინარეობისთვის არა სასურველ ელემენტებს ციხეში ამწყვდევს და ასახლებს?!

შემცდარი არიან ისინი, რომლებიც დღესაც ამბობენ—საბუთა კავშირის 150 მილ. მცხოვრებთ ერთი მილიონი კომუნისტები და მათი ორგანიზაცია მართავს. ეს იყო წინეთ, ეს აღარ არის დღეს. პარტიულ ორგანიზაციებსაც საბურობი ორგანიზაციების ბედი ეწვია, ფიქციით გადაიქცენ. «პარტია განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება და იქიდან პარტიული ხაზის დამახინჯებისთვის 14 ათასი კაცი გავრიცხეთო», განაცხადა სტალინის მიერ ახლად ნაკურთხმა ახალმა ბელადმა ე. იაროსლავსკიმ.

IV.

მაშ ვინ ჯანაბა მართავს ერთ მეექვსე დეკანას და რა ქვია იმ ძალას, რომელსაც ამ ყამათ დიქტატურა ეყრდნობაო, იკითხავს გაკვირებით მკითხველი! მართველი წოდება და პოლიციური აპარატი, აი ის ძალა და ორგანიზაცია, რომელიც შეადგენს სტალინის დიქტატურის ხერხემალს. 12 წლის განმავლობაში შეიქმნა მართველი წოდება, ე. ი. კომუნისტური თავადაზნაურობა, რომელიც უდგება კითხვებს თავისი წოდებრივი თვალსაზრისით. იგი პარტიის სელმძღვანელ კადრში უმეტესობას შეადგენს. მას ახასიათებს უპრინციპობა და უიდეობა. იგი მემარჯვენე და მემარცხენე ოპოზიციას, ორივეს გმობს. მას საერთოთ იდეოლოგია ეჯავრება, ვინც პრინციპითა და იდეოლოგიით სელმძღვანელობს, იგი პარტიისთვის ზედმეტათ მიაჩნია. მას ერთნაირათ ეჯავრება ტროცკიც და ბუხარინიც, ამიტომ მათ და მათ მიმდევრებს პარტიიდან ერეკება. ამ ახალი წოდების უმეტესობა ჯერჯერობით კომუნისტურ პარტიაში იყრის თავს, მაგრამ ისეთ კომუნისტურში, რომელიც სტალინს ემორჩილება და რომელსაც სტალინი სცნობს. მან პარტიას კომუნისტური სული უკვე ამოართვა და მხოლოდ ქერქი დაუტოვა.

ამ ახალი კომუნისტური წოდების ტიპი, ჩემის აზრით ყველაზე უფრო ცხოვლათ დაგვიხატა ნიჟიერმა კომუნისტმა მწერალმა ლ. ლეონოვმა ცნობილ რომანში «გორ» ჩიკილოვის სახით. «პრედღომკომი» პეტრე გორბიდონის ძე ჩიკილოვი, ეს გოგოლის აკაკი აკიევიჩის შვილიშვილი, ამბობს: «ცხოვრება ჩვენია და ჩვენ მის საფუძველს შევადგენთ. ჩემზე თავდასხმა, ეს არსებული წესწყობილების წინააღმდეგ გალაშქრებაა». მართალია ჩიკილოვი, მარქსსა და ლენინს ფიცულობს, მაგრამ საერთოთ იდეოლოგობის წინააღმდეგია. «აზროვნება, აი ტანჯვის და ყოველგვარი უბედურების სათავე, ამბობს იგი. ის, ვინც



აზრს მოსპობს, მას მადლიერი კაცობრიობა თავის მესხიერებაში ძეგლს დაუდგამსო.

მთელს საბჭოთა კავშირში ჩიკილოვშიჩინა არის გაბატონებული. სტალინიც ამ უმპრინციპო ხალხის ბელადია. მათთვის არ არის საჭირო არც ტროცკი და არც ბუხარინი. მათ უნდათ ბრძანებელი და ამ მხრით სტალინი შესაფერისია. სტალინიმა ჩიკილოვშიჩინა სწორად დააფასა და გაიგო. მან იცის, რით და როგორ უნდა მართოს აკაკი აკიევიჩისა და ჩიკილოვის ქვეყანა. ჩიკილოვს არ შეუძლია პოლიციურ სახელმწიფოს გარეშე არსებობა. სტალინიმა მისი სურვილი შეასრულა და უდიდესი პოლიციური აპარატი შექმნა. ამ აპარატისთვის აღარ ვარგა არც მეტისმეტი თეორიის მოყვარული ბუხარინი, არც პერმანენტულ სოციალურ რევოლუციასზე მეოცნებე ტროცკი, არც რბილი ინტელიგენტი კამენევი და არც ევროპიულათ განათლებული ჩიჩერინი და ლუჩაჩარსკი.

რუსეთის სინამდვილე არასოდეს არ ითმენდა ასეთ «გაუგებრობას» და მათ ყოველთვის ერეკებოდა თავის სამეფოდან. აბა გადაავლეთ თვალი რუსეთის ინტელიგენციის ისტორიას დეკაბრისტებიდან დაწყებული და მილიუკოვით გათავებული, თუ ეს ასე არ არის.

V.

საყურადღებოა დიქტატურის ხერხემალის ნაციონალური შემადგენლობაც. საერთოთ გავრცელებულია შეხედულება, რომ საკავშირო კომპარტიისა და დიქტატურის მთავარ ძარღვს არა რუსები შეადგენენო. ეს ასე არ არის. მართალია რევოლუციის პირველ ხანებში «ინოროდები» და უცხოელები თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ, მაგრამ არა მეტს, ვინემ რუსი ლენინი, ან ბუხარინი. გარდა ამისა მთავარი აქ ის არის, თუ ვინ შეადგენს კომპარტიისა და დიქტატურის საფუძველსა და ბაზას. აი რას ამბობს ამის შესახებ ციფრები: 1927 წ. აღწერის თანახმად საბჭოთა კავშირის კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო რიცხვი უდრიდა 1.064.282 სულს. ეროვნების მიხედვით იგი ასე ნაწილდება: რუსები—743.167 ანუ 65 პროც.; უკრაინელები—134.030 ანუ 11,72 პრ.; ებრაელები—49.627 ანუ 4,34 პროც., ბელორუსები—36.420 ანუ 3,68 პროც.; სომხები—19.019 ანუ 1,66 პრ.; ქართველები—16.985 ანუ 1,49 პროცენ.; თათრები—15.646 ანუ 1,37 პროც.

აქედან ნათლათ სჩანს, რომ პარტიის წევრთა დიდ უმეტესობას შეადგენენ რუსები. ზევით კი ჩვენ დავინახეთ, თუ რა დიდ როლს თამაშობდა პარტია საბჭოთა სისტემისა და დიქტატურის შექმნაში. ამ ყამათაც დიქტატურის მთავარ აგენტურას წარმოადგენს კომპარტიის ქურქში გავხვეული ხალხი.

1929 წლის შესახებ ციფრები მე ხელთ არ მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ პროპორცია რუსის ერის სასარგებლოთ შეიცვალა კიდევ და არა წინააღმდეგამ შეხედულებას ამავრებს შემდეგი მოვლენაც. ამა წლის აპრილში მოხდა საკ. კომპარტიის კონფერენცია, რომელმაც პარტიის ისტორიაში მეტათ დიდი როლი ითამაშა. მას გადაწყვეტი ხმით დაესწრო 254 დელეგატი. ეროვნების და მიხედვით ისინი ასე


ნაწილდებიან: რუსი—134, ებრაელი—38, უკრაინელი—19, ლატივი—17, სომეხი—8, ქართველი—7, ბელორუსი—5, თურქი-თათარი—5, უზბეკი—4, ყაზახი—2 და დანარჩენები—15.

გაზ. «კომუნისტის» გადმოცემით, დელეგატთა დიდ უმეტესობას შეადგენდნენ მდივნები, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, სტალინის აგენტები, რომელთა ხელშია დღეს მთელი ძალაუფლება. აქედან ცხადია, რომ დიქტატურის აგენტების დიდი უმეტესობა რუსები არიან. საერთოთ რუსეთის რევოლუციის განვითარებას ერთი ტენდენცია ემჩნევა,—რაც უფრო და უფრო ყალიბდება საბ. კავშირი სახელმწიფოებრივათ, მით უფრო მეტ აქტიურ მონაწილეობას დებულაბს რუსი ელემენტი პოლიციურ სახელმწიფოს შექმნაში. თუ რევოლუციის პირველ ხანებში ყველგან თვალში გვემოდა არა რუსი, ესლა წინააღმდეგსურათს აქვს ადგილი. ეს აიხსნება იმით, რომ დიქტატურა ნაციონალურ საკითხში სავსებით უახლოვდება ძველ რუსულ «ველიკოდერჟავნიკულ» პოლიტიკას. მან ნაციონალურ რესპუბლიკებს ფაქტიურათ წაართვა ის მინიმალური უფლებებიც კი, რომლებსაც მათ საბჭოური კონსტიტუცია ანიჭებდა.

ერთი სიტყვით, რა მხრითაც არ უნდა მიუღვეთ ბოლშევიკურ დიქტატურას, დავრწმუნდებით, რომ მას ასაზღოვებს რუსეთის ხალხი. ამაში არაფერი განსაკუთრებული და მოულოდნელი არ არის. ყველა ქვეყნის პარტიას, კონსერვატულია იგი, ლიბერალური, თუ სოციალისტური, ვარდა იმ საერთო პრინციპისა, რომელიც მას საერთო აქვს დანარჩენ ქვეყნების პარტიებთან, რომლითაც ის ხასიათდება, აქვს აგრეთვე თავის ეროვნული დამახასიათებელი სახეც. ინგლისის პარტიები იმდენათ განსხვავდებიან საფრანგეთისა და გერმანიის პარტიებისგან, რამდენათ ინგლისის ისტორია და კულტურა განსხვავდება საფრანგეთისა და გერმანიის კულტურისგან.

ინგლისის მუშათა მოძრაობამ მოგვცა დამოუკიდებელი მუშათა პარტია, გერმანიამ—მარქსისტული სოციალდემოკრატია, საფრანგეთმა—ქორესული სოციალისტური პარტია, რუსეთმა—ლენინური კომუნისტური პარტია. ბოლშევიზმი შიდა რუსეთში ყოველთვის ძლიერი იყო. ამას თავისი მიზეზები აქვს, მე ამის განხილვას აქ არ შეუდგები, აქ უნდა აღვნიშნო მხოლოდ ის, რომ, როცა ამტკიცებენ, რომ ბოლშევიზმი გარედან, არარუსებმა მოახვიეს თავზე რუსის ხალხსო. ეს არ არის მართალი. პირიქით, აქვს წინააღმდეგ მოვლენას ადგილი,—რუსეთის კომპარტია ცდილობს მოახვიოს თავზე ევროპისა და სხვა ქვეყნების მუშათა მოძრაობას თავისი მეთოდი; იგი ცდილობს საერთაშორისო მამუტებით მოახდინოს რუსული კომუნისმის სტანდარტიზაცია. მაგრამ მოსკოვში გამოჭრილი კომუნისტური ყალიბი არ უდგება დანარჩენ ქვეყნებს და ამ ნიადაგზე იწყება მოსკოვსა და დანარჩენი ქვეყნის კომუნისტებს შორის უთანხმოება და დემოკრატიზაცია.

კი მაგრამ, გვეტყვიან «საერთაშორისო შაიკის» თეორიის დამცველნი, მარტო ტროცკი, ზინოვიევი, სტალინი და დერჟინსკი რათ ღირსო! განა ეს ინოროდები არ არიან ხელმძღვანელები და კომუნის-



მის იდეოლოგიები? მართალია, ეს «ნოროდცებიცა» დიდ მონაწილეობას იღებენ ოქტომბრის რევოლუციის ღონისძიებაში, ბუხარინთან, უგლანოვთან და სხვებთან ერთად, მაგრამ რა არის აქ ახალი და გაუგებარი, რუსეთის ისტორიისთვის?! თუ კი «გულის დიქტატორს» ლორის-მელიქოვს, ვიტტეს, ფონ პლევეს, შვარცს, კასსოს, ბარინ ვრანგელს და ფონ-პეტრეს სტრუვეს შეეძლოთ და შეუძლიათ იყვნენ მონარქისტული რუსეთის ხელმძღვანელი და იდეოლოგი, რათ არ შეიძლება იგივე კანონი რევოლუციის ხანაში გავრცელდეს ბრონშტეინსა და ჯულაშვილზე? თქმა იმისა, რომ, რადგან საბჭოთა კავშირს ქართვე-

ლი ჯულაშვილი მართავს, ამიტომ ხელისუფლება რუსული ეროვნული არ არის, მეტი თუ არა, ულალიკობაა. 1762 წელს რუსეთის მაშინდელმა საზოგადოებამ გერმანელი პრინცესა აიყვანა ტახტზე, მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ ეკატერინე მე-II რუსეთის იმპერატრიცა არ იყო! სტალინი ტფილისიდან კი არავის გაუგზავნია დიქტატორათ რუსეთისთვის, არამედ იგი მოსკოვში გაადიქტატორეს და ამ დიქტატურას იგი, იმავე მოსკოვის საშვალებით, ესლა ტფილისზეც ავრცელებს.

კაპი.

ჩეხია, 15 სექტ. 1929 წ.

ბოლშევიკური საკითხი და ბოლშევიკები

ბოლშევიკებს რომ მათ მიღწევებზე შეეკითხათ, გიპასუხებენ: ჩვენი უდიდესი დაწინაურება ეროვნული საკითხის რადიკალური გადაჭრა არის: ერები მოვარდით, ერთა სოლიდარობა დავამკვიდრეთ, ყველას ეროვნული მისწრაფებანი დავაკმაყოფილებთ. ნამდვილად ბოლშევიკების სრული უნიკობა, ფუქსავატობა და სიყალბე არსად გამოჩენილა ისე, როგორც «ეროვნულ ფრონტზე». ამ მხრივ მეტად საკულისხმიერია თუნდაც აი ჩვენი ქვეყნის მაგალითი.

ყოველის უწინარეს საქართველოში მოუწესრიგებელია თვითონ ქართველების მდგომარეობა: ქართველს, ქართულ ენას და კულტურას დღემდის არა აქვს საქართველოში მოქალაქეობა და თუმცა ბევრი იყვირებს და სწერს ბოლშევიკებმა დაწესებულებათა გაეროვნებაზე, მაგრამ ეს ახლაც განუხორციელებელია. ქართულ ეროვნულ სხეულს წართმეული აქვს ყოველგვარი თვითმოქმედება და საქართველოს აგრე წოდებული სახალხო კომისრები მოკლებულნი არიან იმ უფლებამოსილბადაც კი, რომელიც ძველ დროს ეკუთვნოდა მაზრის უფროსებს და ბოქაულებს. საქართველო მხოლოდ ცალიერი სიტყვაა და არ ჰკულისხმობს რაიმე საერთაშორისო მოვალეობას თუ უფლებას. ყველაფერი, რასაც ქართული იერი აქვს, ან სრულიად უარყოფილია, ან გადაყენებულია მეორე და მესამე რიგში. დამცირება, შეუტაცხყოფა და დევნა—აი ის წრე, რომელშიც იძულებით მომწყვდეულია დღეს ქართველი ერი.

ცხადია—ასეთ მდგომარეობას ვერავინ უწოდებს ეროვნულ საკითხის გადაჭრას.

ამავე დროს ძალზე აირ-დაირია ერების ურთიერთობა როგორც საქართველოში, ისე მთელ კავკასიაში და ხშირად მეტად, მეტად მახინჯ ფორმებსაც ღებულობს. გარეგნული, სიტყვიერი კეთილმეზობლური განწყობილების უკან იმალება უნდობლობა და უკმაყოფილება, რომლის გაღრმავებას ხელს უწყობენ ბოლშევიკები. ძველი ჭეშმარიტებაა, რომ დამმონებელნი და მოძალადენი ყოველთვის ებრძოდნენ მეზობელ ერების თანხმობას და კავშირს, მათ შორის ქრისტიანობის და მტრობის ჩამოგდებას ცთილობდნენ. ამაში ჰპოულობდნენ უძლიერეს იარაღს ბატონობისათვის. კომუნისტებიც ამ გზას მისდევენ და ერთს ერს სარგებლობენ მეორის წინააღმდეგ, ხოლო

ამ მეორეს ეყრდნობიან მესამის დასამორჩილებლად. საქართველოში უფრო საიმედო ელემენტებად რუსები, სომხები და სხ. ჰყავთ მიჩნეულნი, სომხეთში კი უფრო არასომხები არიან გამოსადევნი და ადერბეიჯანში კიდევ არა-ადერბეიჯანელები.

ჩვენი დრო თუ ეროვნული შეგნების გამოვლიძების ხანაა, საჭიროა აუცილებლად, რომ ამას მიეცეს სწორი გამოსავალი. ხომ ყველამ უწყის, რომ ბოლშევიკებს არა აქვთ ოდნავი გაგება ეროვნული საკითხის—ან ძირიანად უარყოფენ მის მნიშვნელობას და უნდათ ანგარიში არ გაუწიონ, ან თუ მაინც სცნობენ როგორც ფაქტს, ფაქტს ცრუმორწმუნოებისას, ცთილობენ მის დამახინჯებას და გამოყენებას თავის დიქტატურის მიზნებისათვის. და ეს იწვევს ისეთს ამბებს, რომლებიც სისტემატიურად ხდება საქართველოს ხან ერთს, ხან მეორე კუთხეში. საქართველო—ეს მეტად გარკვეული და შემოსაზღვრული სახელწოდება, რომელიც გრძელმა მძიმე ბრძოლამ და კულტურულმა მუშაობამ შექმნა—ეს საქართველო დღეს ბოლშევიკების მეოხებით ქუცმაცდება და იზღება: აქ აქარის კომუნისტები მოითხოვენ საქართველოდან ჩამოშორებას, იქ აფხაზები ამაზადებენ პირდაპირ რუსეთთან შეერთებას; ახალქალაქში აჯანყება იმართება ავტონომიის დასაარსებლად; სამხრეთ-ოსეთში ყველაფერს ქართულს ჯვაროსნულ ომს უცხადებენ და თვით სამეგრელოს შუაგულში, ზუგდიდში, კომუნისტური კომიტეტი მოსკოვს ემუდარება, ქართველები მოგვაშორეო...

ასეთი და მსგავსი მოვლენები თითქმის ჩვეულებრივი გახდა საბჭოთა საქართველოში. ერთს ასეთს ამბავს, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ დროს ხელახლა აფხაზეთში, ავიწერს ბოლშევიკური ოფიციალური გამოძიება («კომ.» | ოქტ.). თურმე აფხაზეთში კვლავ წამოჰყო თავი საქართველოდან გამოყოფის აზრმა და იმის ქადაგებამ, რომ ქართველები განდევნონ აფხაზეთიდან... აფხაზებს რომ ეროვნული შეგნება და თავმოყვარეობა აქვთ, ეს ბუნებრივია, გასაგებია, ეს საკითხი ძნელი გადასაჭრელი არაა და მისი მოგვარება ყველაზე უკეთ შეუძლიათ თვით აფხაზებს და მათ ძმებს ქართველებს (იხ. ჩვენი წერილი «აფხაზეთი და საქართველო» დამ. საქ. № 7). გასაკვირია მხოლოდ, რომ დღეს აფხაზეთის ეროვნუ-

ლი ინტერესების წინამძღოლებად და დამცველებად გამოდიან რუსები, რომლებიც (იმავე ბოლშევიკ-გამოძიების სიტყვით) ცდილობენ «ხელოვნურად გააღვივონ აფხაზური მოვინიზმი, წაჩხუბონ აფხაზი ქართველს, გამოიწვიონ მტრობა აფხაზებსა და ქართველებს შორის».

ამაზე უფრო გასაკვირია ქართველ ბოლშევიკების აღსარება, რომ ვერა გააწყვეს რა რუსის «ველი-

კოდერქაენიკებთან» და სრულებით ვერ ალაგმეს მათი მუშაობა. მაგრამ ეს უკანასკნელი განცხადება ჩვეულებრივი ბოლშევიკური თვალთმაქცობაა: სადავო და საჩხუბარი მათ და რუსის მოვინისტებს არაფერი აქვთ—ორივე ერთს საქმეს ემსახურება: არარუს ერების ერთმანეთზე გადამტერებას, ყველასი გარუხებას...

ხ. ფირცხალავა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ფ რ ე ბ ი თ

(გდა ჩვენი ქვეყნის გრძელვად მეთრეობის მიმოხილვისა)

(გაგრძელება)

ეკონომისტები მოწმობენ, რომ სოფლის მეურნეობის ასაყვავებლად სულ პირველად საჭიროა თვით მეურნის გაკულტურება, სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით.

«საფრანგეთის გლეხის უკულტურობაა მიზეზი მისი მეურნეობის ჩამოქვეითებისა».

ინგლისელი მწერალი კოლფი ამბობს: «ინგლისელი სოფლის მუშაკის და ფერმერის უეცობაა მიზეზი ინგლისის სასოფლო-მეურნეობის ჩამორჩენისა». თურმე ასევე სჩივიან ამერიკელი მკვლევარნი.

რასაკვირველია, ერთობ ძნელია «უეცობა» და უკულტურობა» დასწამოს ვინმე ჩამოთვლილ ქვეყნების სოფლის მეურნეთ, მაგრამ ამ ჩივილში მართალი ის არის, რომ თანამედროვე მეცნიერებამ ისეთი ღრმა ცვლილებანი და შესწორებანი შეიტანა სასოფლო-მეურნეობის ცოდნა-ტექნიკაში, რომ ამ დარგში არამც-თუ ძველი მამა-პაპური ტრადიციები «უკულტურობად» უნდა ჩაითვალოს, არამედ თვით ახალი შეძინებანიც, რომელიც მეცნიერების რჩევით ყოფილა მიღებული რამდენიმე ათეული წლის წინეთ, უკვე დაძველებულად ჩაითვლება, რადგან შემდეგ მეცნიერული ცოდნაც და ტექნიკაც უფრო შორს წასულა.

გერმანიის შესახებ ბ-ნ ორლოვის შრომაში ვკითხულობთ: «ყველა ეს ქვეყნები მხოლოდ გერმანიას შესცქერიან პატივისცემით და თან შურითაც: ყველა იმას ამტკიცებს, რომ მხოლოდ მან შესძლო ათეულს წელში გლეხის ისე განათლება, როგორც არავინ და ეს არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ სასოფლო-მეურნეობა მართლა და მაღალ კულტურულ დონეზე დაყენებულია.»

მაგრამ ზემო ნათქვამით, ჩვენი სოფლის მეურნე სასოფარკვეთილებას არ უნდა მიეცეს პირიქით: ყველა ამან ძალა და ხალისი უნდა გავვირგოცვოს ქართველებსა, რათა ჩვენი ქვეყანაც ჩადგეს იმისთანა პირობებში, რომლითაც ასე ამაღლდა სოფლის მეურნეობა უცხოეთში.

ჩვენი სამშობლო საქართველო, სადაც დაგრავილია ათასი წლობით ხერხი და ტრადიციები სასოფლო-მეურნეობის სფეროში, სადაც შრომის მოყვარე და გამჭირაი ხალხი სცხოვრობს, ძველი კულტურის ერი, იმავე წინსვლას მოახდენს სასოფლო-მეურნეობაში, როგორც სხვაგანაც მომხდარა. ერთიც არის ჩვენს ერსაც დაუდგება ისეთი გარემო

პირობები, როდესაც მეცნიერება და ტექნიკა ერთად, ხელი-ხელს ჩაკიდებულნი დაიწყებენ სვლასა.

თუ უანლოვესი ზრუნვა ჩვენი ერისა უფრო მაღალ ინტესიურს კულტურაზე გადასვლა არის, უფრო ძვირფასი მცენარეების მოყვანა, საუკეთესო ჯიშის საქონლის მოშენება,—ყველა ეს, ყოველ შემთხვევაში, არ მოასწავებს ჩვენში პურისა და სიმინდის მოყვანის მოსპობას.

როგორც მოსავლიანობის აწევის ტემპი გვიჩვენებს, 2.400.000 მოსახლეობის გამოსაკვებად სრულიად საქმარისია დაითვსოს:

- 1) გერმანიის მოსავლის საზომით—315.000 ჰექტ.
- 2) ბელგიის » » 260.000 »
- 3) პოლანდიის » » 280.000 »

საქართველოს კი ამისათვის, სულ ცოტა, 760.000 ჰექტარი უნდება.

სასოფლო-მეურნეობის ახალი წესი საქმოდ ბევრ მიწას განათავისუფლებს ჩვენში, რათა ძვირფას მცენარეთა კულტურაც იყოს შემოღებული და პურიც არ გავვიხდეს სხვაგან საძიებელი.

როგორც დავინახეთ, ჩვენში ყოველ წლივ დაუმუშავებელი რჩება 33 პროც-ზედ მეტი მთელი მიწის დვრის მიწებისა.

ჩვენში, სადაც სოფლო-მეურნეობის ტექნიკა ასეა ჩამორჩენილი, სადაც არ ხდება სახნავ მიწების გაპატივება, სადაც არ არის შემოღებული სასოფლო-მეურნეობის ახალი მანქანა-იარაღები, სადაც მეტად მარტივ თესლ-ბრუნვას მივსდევთ, მიწის დასვენება—ერთად-ერთი საშუალება, რომელიც მიწის რაციონალად დამუშავების მაგიერობას ასრულებს.

თანამედროვე, მეცნიერული აგრიკულტურა უკვე გასცილდა ამნაირს პრაქტიკას. იგი დაადგა ახალ გზას და «უმოქმედოთ» ადარ სტოვებს კულტურისათვის გამოსადეგ ტერიტორიას.

ზრდა და გაუმჯობესობა სასოფლო-მეურნეობისა სწორეთ ამ გზით მიდის ამ ქამად; რადღენობა «დასვენებულ» მიწებისა თანდათან კლებულობს ყველგან, რადგან მეცნიერებამ და თანამედროვე ტექნიკამ ასწავლა ადამიანს უფრო ადვილად მისაღწევი საშუალებანი, რომ მიწას გატანილი სიმდიდრე უკან დაუბრუნდეს.

აი რას მოწმობს გერმანიის შესახებ პროფეს. ა. ჩუბროვი (მეღკ. ზემ...):

«მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გერმანიის



სახნავ მიწების 30 პროც. ისვენებდა ყოველ წლივ-
ეხლაკი იქ აღარა ხდება მიწების დასვენება. მართა-
ლია 1878 წელს კიდევ ასვენებდნენ მიწების 9 პრო-
ცენტს, მაგრამ უკვე 1900 წელს ეს პროცენტი ხუთ-
ზედ უფრო ქვევით ჩამოვიდათა.

საქართველოშიც, სადაც აგრარულმა სივიწრო-
ვემ და მიწების გამოფიტვამ კარგა ხანია იჩინა თავი,
აუცილებლადაა საჭირო შეცვლილი იყოს პრაქტიკა
მიწების «დასვენებისა»—ნიადაგის რაციონალად და-
მუშავებით და სასოფლო-მეურნეობაში ახალი მე-
თოდების შემოღებით.

სწავლული აგრონომი ბ-ნი ლევეკი, რომელიც
საფრანგეთის ერთ დეპარტამენტში აგრონომიული
ლირექტორია. ასეთ კითხვას აყენებს: რა მიზეზია იმ
მოვლენის, რომ საფრანგეთის სასოფლო-მეურნეობა
უფრო დაბლა სდგას, ვიდრე გერმანიისა, და ასე
გვიპასუხებს:

1) მეცნიერულ აგრიკულტურის ელემენტარული
პრინციპების უცოდინარობა ჩვენებურ მეურნეთა
მიერ.

2) სახნავების ურიგოთ დამუშავება, რაიც გამო-
წვეულია სამუშაო იარაღის ნაკლებობით.

3) სასუქების ნაკლებად ხმარებით.

4) თესლის უვარვისად გადაჩევა და მის ცუდად
დამზადება.

5) იმ ზემოების ნაკლებობა, რომელიც მიღებული
უნდა იყოს მცენარეთა მანე პარანტიტებთან საბრძო-
ლველად.

უცხოელი ქვეყნების აგრიკულტურის კეთილ-
დღეობა უმთავრესაც იმაზეა აშენებული, რომ დიდ-
ძალ სასუქებს ხმარობენო.

თითო ჰექტარ დამუშავებულს მიწაზედ ბელოვია,
პოლანდია, ინგლისი, გერმანია ხმარობენ, სათანა-
დოთ, 4 ნახ. ჯერ, 4 ჯერ, 2 ჯერ და 1 ნახ. ჯერ უფრო
მეტ ფოსფატებს ვიდრე საფრანგეთი; 8 ჯერ, 12 ჯერ,
3 ჯერ მეტს აზოტიურ სასუქებს და ბოლოს 7 ჯერ,
36 ჯერ, 2 ჯერ და 15 ჯერ მეტ კალიუმს. სწორედ
ჩვენს მიწების მოსავლის ნაკლებობაა მიზეზი, რომ
მაშინ როდესაც, გერმანელები თვითეულს 100 ჰექ-
ტარზედ არჩენენ 75 თავ სხვილ საქონელს და 65 ლარს,
საფრანგეთში იხანება მხოლოდ 50 სხვილი საქონელი
და 20 ლარი.»

აი ამას ამბობს ფრანგი ინჟინერ-აგრონომი საფრა-
ნგეთის სასოფლო მეურნეობის ჩამორჩენის შესახებ.
ჩვენ, ქართველებს, რაღა უნდა გვეთქმოდეს!

ყოველ მხრივ ეს ძახილი გაისმის: კულტურულ

მუშაკთა აქციით სოფლის მეურნე, თუ მისი მეურნე-
ობის გაუმჯობესება გწადიათო.

აქ ერთი ამბავი გვაგონდება, რომელიც თვალ-
საჩინოთ ხდის ამ დებულების სიმართლეს.

ჩვენს ბერლინში ყოფნის დროს, 1923 წელს, შემ-
დეგი ამბავი გადმოგვცა ერთმა ახალგაზდა ქართვე-
ლმა აგრონომმა, რომელმაც გერმანიაში მიიღო უმა-
ღლესი განათლება.

პრაქტიკაზედ ერთ პატარა ფერმაზედ ვიმყოფე-
ბოდით, გვითხრა იმ ყმაწვილმა. დილა აღრინათ გა-
ვედი მინდორში, სადაც მიწებსა ხნავდნენ. კარგი მო-
შორებით დაინახე, ორ სოფლის მუშას მიყავდა ცხე-
ნის გუთანა და თანაც რაღაცაზედ კამათობდნო.
უცბათ შეჩერდნენ და ისეთი ყვირილი, ხელების ქნე-
ვა და მუქარით ლაპარაკი დაიწყეს, რომ დარწმუნე-
ბული ვიყავი, სადაც ეცემიან ერთმანერთსო. ავაჩქარე
ნაბიჯები, რომ გამეშველებინა მოჩხუბარნი. სწორედ
ამ დროს ერთი მათგანი განზედ გადაა და ხელი ჯი-
ბეში ჩაიყრა; ვსთქვი ესლაკი ან რევოლვერს ამოი-
ღებს, ან დანასა და სისხლი დაიღვრება. მივეჩქარე-
ბოდი მათკენ, თუმცა საკმაოდ შორს ვიყავი და ჩემი
მიშველება ერთობ ნავეიანი იქნებოდა. მაგრამ რა
დავინახე: განზე გამდგარმა ჯიბიდან რევოლვერის
მაგივრათ რაღაც წიგნაკი ამოიღო, დაუწყო ალღვე-
ბით ფურცლების გადაბრუნება და თავის მოკამა-
თის შივ ცხვირთან მიიტანა. იმანაც გამოართვა წი-
გნაკი, რაღაც ამოიკითხა და პატრონს დაუბრუნა.
ამის შემდეგ თითქო არასფერი მომხდარაო—ერთი
ცხენს მიუდგა, მეორე გუთანს გაყვა და მშვიდო-
ბიანათ განაგრძეს თავისი მუშაობა... სწორედ ამ
დროს მივედი მათთან და შევეკითხე, რა გაჩხუბებ-
დათ მეთქი, ის გვაჩხუბებდაო, აუხსნეს მათ, რომ
ერთს გუთანა პირდაპირ მიყავდა, მეორე-კი ჩასციე-
ბოდა ამნაირს ალაგში გარდი-გარდმო უნდა გაგატა-
როთ გუთანით. ვერ შევთანხმდით და დავიწყეთ ჩხუ-
ბიო. მერე მოგვგონდა, რომ აგრონომის წიგნაკი
თანა გვქონდაო, ამოვიღეთ ის წიგნი და იმან მოგვა-
რიგაო.

გადმომცა ეს ამბავი ქართველმა აგრონომმა და
დაუმატა: ამ დღეებში საქართველოში ვბრუნდები
და ეს რაც იქა ვნახე, უკანასკნელი გაკვეთილი იყო
ჩემთვისაო, დიდი გაკვეთილი, რომელმაც ახალის
შუქით განათლა ყველა ის, რაც აქ შემისწავლიაო.

მართალი სთქვა ახალგაზდა ქართველმა!

(გაგრძელება იქმნება) —ლი—გ.

უკრაინის საკითხი

4. ხალხის ნებობა.

რუსეთის პირველმა რევოლუციამ წარმოშვა ეგ-
რეთ წოდებული კონსტიტუციური წყობილება. პი-
რველი და მეორე სახელმწიფოს სათათბიროს არჩე-
ვები არ ემყარებოდა საყოველთაო კენჭის ყრას. ეს
საზარალო იყო უკრაინისათვის, რომელიც მთლია-
ნად დემოკრატიულია. მიუხედავად ამისა, ხალხის
სურვილი მაინც გამოცხადდა. პირველ სათათბირო-

ების 120 დეპუტატში, რომლებიც უკრაინამ გაგზავ-
ნა, ნახევარზე მეტი უკრაინელი იყო.

საუკუნე ნახევარმა განვლო მას შემდეგ, რაც ეკა-
ტერინემ საკანონდებლო კამისია მოიწვია, და უკ-
რაინელმა დეპუტატებმა ახლიც გინიმეორეს, რაც
მაშინ იყონათქვამი: მოითხოვეს ხელოვნა უკრაინის
უფლებათა დაბრუნება, რომ უკრაინა ყოფილიყო

აღუქრვილი ფართო პოლიტიკური უფლებებით (ავტონომია) და რუსეთი გადაკეთებულიყო ფედერატიულ სახელმწიფოდ.

უკრაინელი დეპუტატები შეუკავშირდნენ პოლონეთის, ლიტვის, საქართველოს, სომხეთის, ლატვიის, ბელორუსეთის და სხვათა დეპუტატებს ერთ-ერთ უფლებათა დასაცავად.

ხოლო პირველი და მეორე სათათბირო დათხოვნილი იქნა მეფის მთავრობის მიერ. მესამე და მეოთხე სათათბიროს საარჩევნო წესი კი შეიცვალა მდიდარ კლასების სასარგებლოთ. არჩევნები მოხდა პოლიციის და რეაქციის ძალდატანების ქვეშ. გარდა შემთხვევით არჩეულ დეპუტატისა უკრაინას არ ჰყავდა საკუთარი წარმომადგენლები ამ სათათბიროებში.

შედარებით უკეთ იყო მდგომარეობა საქალაქო თვითმართველობასა და ერობაში, თუმცა აქაც ცენზიანი არჩევნები იყო, რომელზედაც ფართო გავლენას ახდენდა ადმინისტრაცია. მეცხრამეტე საუკ. უმკაცრესი რეაქციის დროს უკრაინის ზოგიერთმა ერობამ გახედა ხალხის მოთხოვნილებათა წამოყენება და განსაკუთრებული ყურადღება მიჰქცა ენის საკითხს და უკრაინულ სახალხო სკოლების დაარსების საპირისპიროდ. ასეთი იყო ჩერნიგოვის ერობის მოქმედება, რომელმაც ორჯერ 1893 და 1898 წლებში მოითხოვა უკრაინული ენის შემოღება სკოლებში. ხერსონში 1886 წელს მასწავლებელთა ყრილობამ და შემდეგ ერობამ, ელისაბედგრადაში 1895 წ., პოლტავაში 1900 წ. და სხვაგან ადგილი ჰქონდა მსგავსს მოთხოვნილებებს. 1905 წლიდან 1917 წლამდე მეტად გაზვიარდა ასეთი მოვლენები და თითქმის უკრაინის ყველა ერობა გაერთიანდა ეროვნულ საპირისპიროების დასაცავად.

1905 წლის რევოლუციამ თუმცა ვერ გაამართლა უკრაინის იმედი, მაგრამ ზოგი გაუმჯობესობა შეიტანა მაინც ადმინისტრაციაში. შესაძლებელი გახდა პერიოდული გამოცემების და წიგნების ბეჭდვა უკრაინულ ენაზე, რაიც წინადაკრძალული იყო. ხალხს მიწვდა ჟურნალგაზეთები და წიგნი და ამრიგად გაღვივდა ცეცხლი ეროვნული აღდგენისა. კიევიში დაარსდა სამეცნიერო საზოგადოება და უკრაინული წრეები და განათლების საზოგადოებანი მოეფინა ქალაქებს და სოფლებს. პოლიცია სასტიკად სდევნიდა მათ და ხურავდა. მაინც იმათ დიდი სამსახური გაუწიეს ხალხს და თუ ერთს ალაგას იკეტებოდა უკრაინული ეროვნული საზოგადოება, ის მეორე ალაგას აღორძინებოდა და ახერხებდა მუშაობის გაგრძელებას. დიდი მსოფლიო ომის დროს ეროვნულმა აქტივობამ ფართო ხასიათი მიიღო.

ამ საუკუნის დასაწყისიდან ყოველი ყრილობა, რომელსაც ცენტად თუ ბევრად დემოკრატიული ხასიათი ჰქონდა, აუცილებლად გამოდიოდა ეროვნული მოთხოვნილებებით. ასე მაგალითად 1902 და 03 წ. მოწვეულმა სასოფლო-სამეურნეო კომიტეტებმა, მიუხედავად მუქარისა მთავრობის მხრივ, მოითხოვეს ეროვნული სკოლები და სხ. უკრაინელი დელეგატების დაქინებით აგრძნობილმა კონგრესმა მოსკოვში 1901 წ. ასეთივე რეზოლუცია გამოიტანა. ეს-

ვე მოითხოვა წვრილ მრეწველების კრებამ პოლტავაში 1902 წ.

1917 წლის რევოლუციის წინ იშვიათად გაიმართებოდა ყრილობა, რომ უკრაინის საკითხი არ აღძრულიყო, მის გარშემო არ გამართულიყო კამათი-მთელი რუსეთის მასწავლებელთა კრებაზე პეტერბურგში 1913 წ. უკრაინელმა დელეგატებმა კიდევ ერთხელ წამოაყენეს უკრაინულ ენის მოთხოვნილებანი.

უკრაინაში კოოპერატიული მოძრაობა ფართოდ გაიშალა და მკვიდრი ნიადაგი ჰპოვა. მისი ხელმძღვანელები იყვნენ მამულიშვილები და კოოპერატივებისაც არა მცირე ადგილი ეკუთვნის ხალხის ეროვნულ აღორძინებაში.

1917 წ. რევოლუციამ უკრაინაში სრულიად ეროვნული სახე მიიღო თავიდანვე. კიევიში, მარტის 19-ს ასი აზას კაცის მანიფესტაცია გაიმართა ეროვნული დროშის ქვეშ, რომელიც იწვევდა უდიდეს აღფრთოვანებას. მარტსა და აპრილში კიევიში მოწვეული იყო მრავალი ყრილობა კოოპერატივების თუ პარტიების. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო 8 აპრილის, რომელშიაც მიიღეს მომაწილებთა ყველა პატრიოტულმა საზოგადოებებმა, კოოპერატივებმა, პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა და მრავალმა მუნიციპალიტეტებმა. მთელი უკრაინიდან მოიყარეს დელეგატებმა თავი, დიდს უპრავლესობას წარმოადგენდნენ პროვინციელები, უმთავრესად გლეხები. ამ ყრილობამ აირჩია ასი პირისაგან ცენტრალური რადა, რომელიც იყო ჩანასახი რევოლუციური პარლამენტისა, და ერთი წლის განმავლობაში მართავდა მთელ უკრაინას.

შემდგომში რადა გაფართოვდა გლეხთა, ჯარისკაცთა და მუშათა ყრილობების დელეგატების მიმატებით. გლეხთა ყრილობა მოწვეული იყო მაისის 30 რეგორც უკრაინულ ისე რუსის პოლიტიკურ პარტიების მიერ. არჩევნების საფუძვლად მიღებული იქნა სოციალური და ტერიტორიალური პრინციპი და არა ეროვნული. ხოლო პირველ დღიდანვე გლეხთა ყრილობა აღმოჩნდა უფრო ეროვნული, ვიდრე იყო თვით 8 აპრილის ეროვნული ყრილობა. გლეხთა ყრილობამ გადაჭრით მოითხოვა, რომ დაუყენებლივ გამოცხადებულიყო საკუთარი სახელმწიფო ან ფედერატიულად შეკავშირებული რუსეთთან ან სრულიად დამოუკიდებელი.

უკრაინელი სახელმწიფო მოღვაწენი იძულებულნი იყვნენ შეენელებიათ აღტყინება და მხოლოდ უკრაინულ სოციალისტების ენერგიული დაქინებით მოხდა, რომ ყრილობამ მოუსმინა რუსის სოც. რევოლუციონერებს.

ასეთივე ენტუსიზმში მეფობდა ჯარისკაცთა კონგრესზე, რომელსაც დაესწრო ორი ათასი დელეგატი არჩეული მთელი რუსეთის სივრცეზე გაფანტულ ჯარისკაცების მიერ. ამ არჩევნებში ორ მილიონზე მეტმა მემარბმა მიიღო მონაწილეობა.

ცენტრალურმა რადამ, რომელიც ივნისში შეკავდა 600 დელეგატს, მოიპოვა მთელს უკრაინაში განუხანძრველი პოპულიარობა. რადას თავმჯდომარე ყოველ დღე იღებდა უთვალავ დეპუტატებს და ასობით დეპუტატებს და წერილებს. სოფლებში, დაბე-



ბში, ქალაქებში იმართებოდა სხვადასხვა დარგის ყროლობები, რომლებიც მოითხოვდნ უკრაინის სახელმწიფოებრივობის აღდგენას თუ ფედერატიულ თუ დამოუკიდებელ ნიადაგზე. და ყოველი შეკრებულობა მიესალმებოდა ცენტრალურ რადას, როგორც ქვეყნის უზენაესს ორგანოს.

იენისის თვეში პეტერბურგის მთავრობის ავტორიტეტი შესუსტდა, ხოლო რადის გაიზარდა. მაშინ მოხდა, რომ არაუკრაინელების (პოლონელების, ებრაელების, რუსების, რომლებიც უკრაინაში ცხოვრობდნ) წარმომადგენლები შევიდნ რადაში და ცენტრალური რადა შეიქნა ნამდვილი დროებითი პარლამენტი უკრაინის.

რევოლიუციამ რომ იფეთქა, ერობანი და საქალაქო თვითმართველობანი აგებულნი იყვნენ არა დემოკრატიულად და არ შეეფერებოდნ ამ დროის საჭიროებას. ამიტომ ისინი შევსებულ იქნა რევოლიუციონურ და ლიბერალურ ელემენტებით. ერობამ მყისვე ეროვნული ხასიათი მიიღო. მაგრამ საქალაქო თვითმართველობაში უკრაინელები უმცირესობას წარმოადგენდნ, რადგან უკრაინის ქალაქებში მეტწილად არაუკრაინელები ცხოვრობდნ. ზაფხულში მოხდა არჩევნები საყოველთაო, ფარული, პირდაპირი და პროპორციონალური და უკრაინელებმა მიიღეს 9 მილიონი ხმა, ხოლო დანარჩენებმა ორზე მეტი. ერობებში უკრაინელებმა მოიპოვეს თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა, ქალაქების თვითმართველობაში კი მდგომარეობა სხვანაირი იყო—უკრაინელებს ერგოთ მხოლოდ 20-30-45 პროცენტი...

ყველამ უწყის, რომ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება არ შეკრებილა, იგი დაშალეს ბოლ-

შევიკებმა, რომელთაც ოქტომბერში ხელში ჩაიგდეს ძალუფლება. ხოლო უკრაინაში სექტემბრის და ოქტომბრის განმავლობაში, ბოლშევიკურ გადატრიალებამდე, მოხდა დეპუტატების არჩევა თანხმად საყოველთაო და პროპორციონალური სისტემისა. ეს არჩევნები იყო უკრაინელების სრული გამარჯვება. 150 დეპუტატში უკრაინელ პარტიებს ხვდათ 115, დანარჩენი 35 სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს.

1917 წ. დამლევს ცენტრალურმა რადამ გადაწყვიტა უკრაინის დამფუძნებელი კრების მოწვევა. მოხდა არჩევნები დეკემბერში და 1918 წ. იანვარში. (სამწუხაროთ ბოლშევიკებმა უკვე დაიწყეს მოქმედება უკრაინის წინააღმდეგ და აღმოსავლეთ უკრაინაში არჩევნები ვერ მოეწყოა).

უკრაინის დამ. კრებაში უნდა ყოფილიყო 326 დეპუტატი, მოხერხდა მარტო 250 არჩევა. ამ რიცხვში უკრაინელი იყო 190, რუსი 30, ებრაელი 20, 10 პოლონელი თუ სხვა. 80 პროცენტი უკრაინელებს ერგოთ. 10 მილიონ ხმიდან უკრაინელებმა მიიღეს 8 მილიონი. კიევის გუბერნიაში უკრაინელებმა მიიღეს ერთი მილ. სამასი ათასი ხმა, სხვებმა 250 ათასი. ეს ციფრები, ეს ფაქტები ნათლათ გვიჩვენებენ, თუ რას ფიქრობს უკრაინის ხალხი, როგორია მისი ნების ყოფა. ის ენდობა მხოლოდ უკრაინელ მამულიწვილებს, და თავის მომავალს ხვდავს უკრაინის დამოუკიდებელ არსებობაში.

ალ. შულგინი

უკრაინის რესპუბლიკის რწმუნებული, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი.

მ რ ო ვ ე შ ლ ი ც ე ნ ტ რ ი ს დ ა ვ ვ ი ს ა თ ვ ი ს

ჩვენს პოლიტიკურ წრეებში აქაცა და საქართველოშიაც ჯერაც არ დამცხრალა კამათი იმის თაობაზე, თუ რა საშუალებებითა და ღონისძიებით შესაძლებელ არს საოკუპაციო რუსის რეჟიმის თავიდან მოშორება. იმ წერილებიდანა და შეკითხვებიდან, რომლებიც მე მომდის (და ვფიქრობ, არა მარტო მე) ნათლად სჩანს დიდი და ცხოველი ინტერესი, ქართველი მოპაზროვნე საზოგადოება რომ იჩენს ჩვენი ქვეყნის ამ კარდინალ საკითხისადმი. შემოსეულთა ეგრეთ წოდებული ხელისუფლება ცვდება და იზრიტება. მისი სახელმწიფოებრივი შესაძლებლობანი ისევ ქარაფშუტული და უნიათო აღმოჩნდა, როგორც მთელი წყება მისივე სოციალ-ეკონომიური ექსპერიმენტების, რომელნიც ისედაც აღვირმოდებულ ხალხს მთლად ანარცხებენ დეკლასიურ სიღრმეში და მომავალის ყოველივე იმედს უკარგავენ. ჩვენთვის თავიდათავი ამ მართლაც ასირებელი მდგომარეობაში ის არის, რომ ყოველი განვლილი დღით ქართული პატრიოტული ძალების აქტივი იზრდება მტრის ხარჯზე, ესე იგი თავს იჩენს სწორეთ ის გარემოება, რასაც კომუნისტები თავისი ჩვეულებრივი სიჩლუნგისა გამოა წარმოუდგენელ ამბავათ ჰსახავდნენ და რისი მრისხანებაც დღეს მათ წინაშე აღმარ-

თულია, ხოლო ამავე დროს იზრდება და ვითარდება; მე მოვახსენებთ იმაზე, რომ ქართველმა ერმა თავისი ანტიბოლშევიკური ჯიუტობა უმწვერვალესობამდის აიყვანა და მონობის რვა წელიწადის მანძილი სამშობლეს თვითმყოფობის დასაბრუნებელ სისხლიანი ბრძოლითა ზიდა. ეს ფაქტია—ყველა თვალხილულისათვის დასანახავი და დაურღვეველი. მტერი მუსრს ავლებს შეუპოვარ, რიცხვით მცირე ხალხს. მოსკოვის ემისარებითა და ჯარით ამყრალებს ივერიის სუნელოვან მდელოეებს, აცამტვერებს ქვეყნის სარჩოსა და საბადებელს, გარნა საქართველოს რაინდი სახე ჩირქმოუცხებელი რჩება, ისევ წინანდებურათ გასხვიოსნებული და შემდგომი ბრძოლასათვის განზხადებული. და ეს რუსეთის ლაქებმაციციან, ისინი ილიუზიებით თავს არ იტყუებენ—მით უარესი მათთვის!

ასეთია საერთო ხმა—აქაურიცა და საქართველოდან გადმოძახილიც. მთელი ერი ერთბამად ეროვნულ დროშის ირგვლივ თავმოყრილია, ეს ყველამ უნდა იცოდეს და დაიხსომოს, განსაკუთრებით-კი იმათ კმართვეთ ამისი ყურადღება, ვისაც დროთა რბენამ სულომოკლეობის გარდა ვერაფერი შესძინა და ვისაც მუღმივი წუწუნი და სხვათა «გაკრიტიკება»



დიდ პოლიტიკურ საქმიანობათ მიაჩნია. ეს სტრიქონები ამგვარ პირთათვის არ იწერება: ბრძოლაში ასეთი ელემენტები ანგარიშში ჩასაგდება როდი არის! სიტყვა ჩემი მიემართება იმათკენ, რომელთაც საქართველოს მიმართ წინათაც მიუძღვით დამსახურება და ეხლაც ერთგვარ პოლიტიკურ გარკვეულ ხაზს მისდევენ იმავე მიზნით. ჩვენც და მათაც გვაერთებს ერთი და იმავე იდეისათვის სამსახური, ორთავენი შეძლებისამებრ საქართველოს განთავისუფლებისათვის ვმსწრეობთ და მის კეთილდღეობას მისავე ავტოკრატიის ვეძიებთ... ამ მომენტამდის ჩვენ შორის დავა არ არის. ვიმიჯნებით მხოლოდ იქ, სადაც უკვე ისმის საკითხი საქართველოს განთავისუფლების საშუალებათა გამონახვის თაობაზე. და აქვე იბადება მეორე კითხვა: რა ორგანოები და პოლიტიკური ერთეულები უნდა იყვნენ ამ საქმისათვის მიმჩნეულნი. აქ კი თავს იჩენს დავა, რომელიც ხანგამოშვებით მწვავე კონფლიქტის სახეს იღებს და საერთო პოლიტიკურ მუშაობას აფერხებს და აღუწევს.

საკითხი, როგორცა ჰქვია, მეტად სერიოზულია, საჭიროა ხდება დიდი ფიქრი და დავაყრებება. მე არა ვარ იმისი მომხრე, რომ «ოპოზიციას» ერთთავათ ზურგი შევაცკიოთ და მისი შეხედულებანი და მოთხოვნებიანი უბრალო ქინიანობათა და პარტიულ შეურიგებლობათ დავსახოთ. მართალია, მთელი მოქმედება აქ, საზღვარგარეთ, აღმოცენებულ «ოპოზიციის» მავნე გზით მიდის, მეტსაც ვიტყვი, ზოგჯერ მტრისათვისაც სასარგებლო მომენტსაც შეიცავს. მაგრამ ყველა ეს ბორბლი განძრავებით კი არ არის წარმომზადილი, არც თუ ბრძოლის ასპარეზიდან გასვლის სურვილით. პირდაპირ თქმას არაფერი სჯობია: სუბიექტიურ მოსაზრებასა და თავმოყვარეობას უფრო მეტი ადგილი უჭირავს «ოპოზიციის» გაჩენაში, ვიდრე სხვა გარემოებებს, ამიტომაც მე პირადად აროდეს წამრთმევი იმედი, რომ დავისა და გაყრის ეს მხარე როცა ამოიქამება, საშფოთო საგანი იმითვე დაიღვევა და განდგომილებს სხვა გზაც აღარ ეძებნათ და ისევე შინაურობას დაუბრუნდებიან,—ნათქვამია: «ისევ წახვალ გუდამაყარს, მამაპაპის ალაგასა».

ჩემი წერილი მარტო ეროვნულდემოკრატიულ პარტიაში შექმნილი მდგომარეობით არ არის გამოწვეული: ამ საგანს მე თავის დროზე შევეხე და შევეცადე ეს კერძო გაუგებრობა პარტიული შინაგარემოებით ამეხსნა (იხილე «მამულიშვილი» № 7, წერილი—«ერთად თუ დაქსაქსვით»). ჩემი შეხედულება არაქის დაურღვევია, თვით აღნიშნული განხეთის რედაქტორმა რევან გაბაშვილმა მხოლოდღა ერთი წუთი დამდო, სახელდობრ, რომ «ეროვნული ცენტრის» დამრღვევლებთან კამათში პოლიტიკურ სიმაღლეს არ ავშორდი და ვერ შევამჩნიე ის ურიგო (გაბაშვილის ტერმინი უფრო მკვახე იყო) მოსაზრებანი, რითაც «ცენტრიდან» გასულები ხელმძღვანელობდნენ.

სამწუხაროდ «სეცესისტობა» მარტო ეროვნულდემოკრატიული პარტიის «პრეროგატივა»ს არ შეადგენს: ეს მოვლენა ქართულ სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც მეტნაკლებობით ახასიათებს, რის გამოა

აუცილებელი ხდება ამ საგანზე ქართველი მებრძოლის ყურადღება კიდევ შევაჩეროთ. საქართველოს დამონების რვა წლის თავზე მე უკვე მოსაბეზრებლად მიმაჩნია სიტყვის გაგრძელება შესახებ იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს ნაციონალურ მთავრობასა და მის თანამშრომელ ორგანოებს ანტიბოლშევიკურ რაზმების გამაგრებასა და ზრდაში ერთის მხრით და განმათავისუფლებელ ბრძოლისათვის უფლებრივ სახეობის მიცემაში მეორეს მხრით, დრომ მოიწია უკვე, რომ დავიწყებას მივცეთ მთელი ის დაგუბებული უსიამოვნება, თუ გნებავთ, სიბოროტეც, რაიცა ბევრს ჩვენთაგანს გამოჰყვა სამშობლოდან მუნ წარმოებული ვითარებიდანა და მთავრობის სოციალ-პოლიტიკური საერთო გეზიდან.

მაგრამ აქედან მთავრობის საწინააღმდეგო რაიმე პოზიტიური დასკვნის გამოყვანა არ სებულ ვით არებაში სასაცილოც არის და სამარცხვინოც. ერთი განზე მიდიან იმ მოსაზრებით, რომ მთავრობასთან თანამშრომლობა, თურქი ნუ იტყვიო, ისევ სოციალდემოკრატიული პარტიის ჰეგემონიის დაბრუნებას მოასწავებს; მეორენი უფრო შორს მიდიან და ახალგაზრდული გატაცებით (ხშირათ მოუფიქრებლობითაც) ერთიანად ყველას მოსთხოვენ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე უარის თქმას, რადგანაც თურმე სუყველანი დამნაშავენი ვყოფილვართ საქართველოს დაღუპვაში. სასტიკი ბრალმდებელნი როგორცა ჰხედავთ, უფრო მეორენი არიან, მაგრამ მათ მაინც მეტი ეპატიებათ, ვინაიდგან ნაკლები მოეთხოვებათ, პასუხისმგებლობაც ნიკოლები აქვთ, ან სულ არ აქვთ.

გაქცევა და განზე ჯდომა, გულოზე ხელების დაკრება და სხვა საყვედური და მუხმუხელოობა ვერაფერიშვილი საქმეს! შორიდან დეკლარაციების წერა და ამითი ამოწურვა მთელი საკითხისა სახელს ვერავის მოუხვეჭს. ხალხს ბრძნულად შეუთხზავს: «სამშობლო რომ შორს გქონდეს, თავის ქებას დიდი არა უნდაარაო». ყველა ჯურის გაქცეულებსა და მოკრიტიკეებს ერთი რამ ავიწყლებათ: დღეს ყველანი გართა ვართ, გარეთ მთხოვრებლათ და მომქმედათ გარდაქცეულნი, აქ პოლიტიკა ერთია და უწყებაც ერთი, ჩვენი მთავრობაც და მასთან მდგომი და მისი ხელქვეითი ორგანოები წარმოადგენენ ერის ასე ვთქვათ საგარეო საქმეთა სამინისტროს, ხოლო მათ ალამაღლებს ის გარემოება, რომ თავის წიაღში განასახიერებენ საქართველოს სუვერენიტეტს, რითაც უფლებრივით ერთობ სასარგებლო განსხვავებას ვიძლევიოთ სხვა მრავალ დამოუხვეწილ ხალხებ შორის. ეს ადვილად მისახვედრი მცნებაა, გარნა «სეცესისტებმა» ამის გაგება ამ ხნობამდის კიდევ ვერ შესძლეს—გასაოცარია ღმერთმანი!

ეს ჰაზრი მე გარკვეულად გამოვთქვი ჯერ კიდევ 1923 წელს ბერლინში ყოფნისას, როცა ოპოზიტიურ მიდრეკილების ნიშნებმა ის-ის იყო თავი იჩინეს! ძნელი წარმოსადგენი ჩემთვის მხოლოდ ის იყო, რომ ჩვენი პარტიის გამოცდილი და დამსახურებული წევრები მიიღებდნენ თავის თავზე ამ მიმე თალს-ნობას და ამითი შეეცდებოდნენ საერთო პატრიო-



ტულ საქვეყნო საქმის დასუსტებას და მტრის წისკილზე წყლის მიწვებას.

არ მოაწია განა ეამმა შევიგნოთ შეცდომანი, გამოვამთელოთ დაშლილი გუნდები და ერთ დაპი-მულ ძალათ აღვიმართოთ!

ხალხს უთქვამს: «თანხმობა კედელზე უმაგრე-სიაო»...

რ. ინგილი.

რომი.

უცხოეთის მიმოხილვა.

პირღის გამარჯვება.

Staline c'est un homme—სტევა ერთმა პასუხის-მგებელმა პირმა და იქვე განმარტა: მან დააგროვა საკმაო პური, მაშასადამე, არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს, ამ ახლო დროში, მისი დაცემა. მაგრამ სტალინმა მეტიც მოახერხა მანჯურიაში, მისმა ჯა-რმა «ბრწყინვალეთ» გაიმარჯვა მუკდენის ჯარზე, ააზრა გავლილი ტერიტორია, დაქლიტა მშვიდო-ბიანი ხალხი, არ დაზოგა რუს გლეხთა ახალშენები... რა თქმა უნდა, ომი არ გამოუტყვადებია, მიეპარა ქუ-რდულათ, ისე როგორც საქართველოს, ისარგებლა გენერლების აჯანყება ნანკინის წინამდევ, —და აი-ძულა მუკდენი ხელი მოეწერა სტატუს ქვოს აღდგე-ნაზე ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზაზედ.

მაშასადამე, ამ დივირსიამაც უვნებლათ ჩაუარა სტალინს, აჩვენა ქვეყნიერებას, რომ წითელ ჯარსაც შეუძლია «ძლევამოსილი» იყოს, თავის ხალხსაც მე-ტი შიში და რიდი ჩაბერა, ასე რომ არხინათ მიე-ცემა განცხრომას თავის დაბადების 50 წლისთავეზე, რომელიც გულითა სურთ იხეიმიან მის ყმებს და ვერ გაუბედნიათ.

ჩვენ გვინდა კიდევ უფრო ავწიოთ სტალინის «მღწევა»: არამც თუ გაიმარჯვა, შეჩერებაც შეს-ძლო მან თავის დროზე. ეს კი არც ისე ადვილია, გან-საკუთრებით, როცა წინ არაფერი გიდვას, შეგიძლია ხარბინამდე მიიხინდე. ხოლო ტოკიოს განსენება მოსკოვისადმი, რატომ აგვიანებ ტერიტორიის და-ცლასო, სულ სხვას გვაფიქრებინებს. მოსკოვს ჰქონ-და უეჭველათ ტოკიოს იდუმალი ყაბული, როცა მუკდენზე ილაშქრებდა, ისე ნაბიჯსაც ვერ გადადგა-მდა. ცხადია, ტოკიოს სურდა ამით თავის კონცესიე-ბის უზრუნველყოფა ჩინეთში.

სამაგიეროთ მოსკოვიც დაჰპირდა ტოკიოს, რომ ერთ აღდ მიწასაც არ მიისაკუთრებს მანჯურიაში, მაშასადამე, ზავის შემდეგ მან უნდა დასცალოს იგი. თუ იგვიანებს, ეს იმიტომ რომ ეშინია ჩინელების შარის, სიტყვას გატყვენო. ამავე დროს მოსკოვი საბჭოთა რესპუბლიკად აღცხადებს ჩინეთის მონღო-ლეთს და თავის პროტექტორატს უქვემდებარებს მას.

რას შერებოდენ ამ დროს დიდი სახელმწიფოე-ბი, ერთა ლიგა? თითქმის არაფერს, ჰქონდათ დიპ-ლომატიური მიწერ-მოწერა, ეკრძალებოდენ ერთსაც და მეორესაც. ბოლოს მაინც ერთი შეთანხმებული ნოტა გადასცეს ნანკინსა და მოსკოვს ამერიკამ, ინ-

გლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ. გერმანია და ია-პონია არ შეუერთდენ მათ. თქვენ ხომ კელოგის პაკტს მოაწერეთ ხელი—ამბობდა ნოტა—, პირობა დასდეთ იარაღს არ მიმართოთ, რას სჩადიხართო. ნანკინმა მადლობით უპასუხა და თან შენიშნა, განა მე ვომობ, მტერი ჩემს ტერიტორიაში შემოიჭრაო. მოსკოვმა კი ლაზათიანათ მილანძლა «არამკითხენი»: ვინა გდინ-ხართ, ვინ მოგცათ ჩამორევის უფლება, გაიყვანეთ თქვენი ჯარები შანჰაიდანო.

აი, მოკლეთ მთელი ეპიზოდი, თუ ათასობით ხალხის დახოცვას ეს სახელი დაეძახება, აქედან ჩვენ შეგვიძლია ერთი წინასწარი დასკვნა გავაკეთოთ. ყო-ველი სახელმწიფო, დიდია ის თუ პატარა, თავის თავს უნდა დაეყრდნოს და არ იქონიოს იმედები, რომ გარეშე ძალა მიეშველება.

მეორე და მესამე დასკვნა თვით მოსკოვისთვის არის საგულისხმეო. ასე მჭერმეტყველურათ, ასე ცოცხლათ ჯერ არ გადაშლილა მსოფლიოს წინაშე, თუ რა ფასი აქვს მოსკოვის სიტყვას და ხელმოწე-რას. როცა საქართველოს დაესხა თავზე, კელოგის პაკტი არ არსებობდა, დღეს? მოსკოვმა არც კი და-აცალა მას ძალაში შესვლა, შეეკრა პოლონეთს და სხვებს მის ნიადაგზედ—«ვიჯმნი» ომისაგანო. თუ ჰგონია მას, რომ ეს სიფლიდე დაუსჯელათ ჩაუვლის, სცდება, ის უკვე გამორიცხულია ფაქტიურათ პაკტის ხელმომწერ 58 სახელმწიფოდან, ვაშინგტონიც გაუ-სხენებს ამ სიყვარულს.

რაც შეეხება ჩინეთ-რუსეთის დამოკიდებულე-ბას, მათ შორის ახალი ორმო გაითხარა, სისხლით აღვსილი. რუსეთს ეხლა გაცილებით უფრო დიდი ხიფათი მოელის ეროვნულ აღორძინების გზაზედ და-მდგარ 400 მილიონიან ჩინეთისგან, ვინემ მანჯურია-ში განავარდებამდე... მისი გამარჯვება პიროსის გა-მარჯვებაა.

ოვეი და სოკოლნიკოვი.

ოვეი და სოკოლნიკოვი უკვე ჩავიდენ, პირველი მოსკოვში, მეორე ლონდონში, სრულუფლებიანი ელჩები ორ «მეგობარ» სახელმწიფოთა. მაგრამ სა-კვირველი რამ სდება. არაა სხდომა. საცა თემთა პა-ლატაში კითხვა არ დაუყენენ მაკდონალდის მთაე-რობას დიპლომ. დამოკიდებულების აღდგენის შესა-ხებ. სავარეო მინისტრი ჰენდერსონი ოფლში იწუ-რება, აძლევს პასუხებს, ზოგჯერ სდუმს, რაიც კიდევ უფრო მჭერმეტყველი პასუხია. უმთავრესი კითხვა, რომლის ირგვლიც მთელი აურზაურია, ესაა: განაგრ-ძობს თუ არა მოსკოვი თავის პროპაგანდას დიდი ბრიტანეთის იმპერიაშიო. არაო, უპასუხებს ჰენდე-რსონი, კომინტერნისთვისაც საბჭოთა მთავრობა იქნება პასუხისმგებელიო. მოსკოვიც, თითქო განგებ, დასძახებს შორიდან—ვერ მოგართვით, კომინტერნი სხვაა, სოვნარკომი სხვა, შუაში უზის დიდი ზღვარიო. წაიკითხვენ რა ამ განცხადებას «იხვესტია» თუ «პრა-ვდაში», კონსერვატორი დეპუტატები ისევე აყენებენ კითხვას. ჰენდერსონიც უპასუხებს ან სდუმს გაქარ-ხალებული.

ლორდთა პალატაში უარესათაა საქმე, ორხელ გამოუცხადეს მთავრობას უნდობლობა სწორეთ მო-

სკოვის გამო, თუმცა მისი დაცემა მათ არ შეუძლიათ, კონსტიტუციით. ერთხელ მთავრობის წარმომადგენელი ლორდი ტომსონი იქამდის მივიდა, რომ განაცხადა: კომინტერნის პროპაგანდისტისთვის ჩვენ საბჭოთა მთავრობასთან დიპლ. დამოკიდებულებას გავწყვეტთ! შეასრულებს მთავრობა ამ დაპირებას? სხვა გზა არა აქვს, ეს ინგლისია, სადაც სიტყვას კიდევ აქვს მნიშვნელობა.

მეორეს მხრით, ფართოდება და ღრმადება აგიტაცია მთელს იმპერიაში ბარბაროს საბჭოთა ცნობის გამო. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამ უკანასკნელად დამოუკიდებელ ორგანიზაციის დაარსება, რომელიც მიზნად ისახავს ბრძოლას სარწმუნოებრივი დევნის წინამდებე საბჭოთა კავშირში. ამ ორგანიზაციის სათავეში მოექცენ იგივე შეურიგებელი მტრები მოსკოვისა, ყოფილი მინისტრები ბერკენჰეი და ჰიკსი.

ასე გეგონებთ, მაკდონალდის მთავრობა მეორეჯელ უნდა გახდეს მოსკოვის მსხვერპლი! და ეს უეჭველი იქნებოდა ალბათ, სახლავა კონფერენცია რომ არ იყვეს მოწვეული 21 იანვრისთვის. ინგლისელნი, რა თქმა უნდა, მთვრიდებიან ასეთ დროს მთავრობის კრიზისის გამოწვევას.



რას სწავრენ ბოლშევიკებზე

გერმანიის რეისტაგის წევრი პროფ. გეტში ესლა ხან დაბრუნდა რუსეთიდან და ასე ახასიათებს იქაურს მდგომარეობას: «რუსეთის ეკონომიური ცხოვრება მეტად სამწუხარო სურათს წარმოადგენს. საზოგადოების ნაკლებობა (უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობაც დიდს გაჭირვებას განიცდის ამ მხრივ). მცირე ხელფასი, ფულის ღირებულების დაცემა მეხუთედამდე, სოფლის განადგურება—ყველაფერი ეს იმას გვიმტკიცებს, რომ ეკონომიური ბორბალი თუმცა ბრუნავს, მაგრამ ისე, თითქოს გაჩერებულია. მარქსის შემდეგ ლენინს ახალი არაფერი უთქვამს, მით უფრო ლენინის შემდეგ არა გაუფრთხილა რა სტალინს. გაუნათლებელს, სრულიად უნიკლს სტალინს მხოლოდ ერთი ღირსება აქვს—«ხარის ენერჯია». მარტო ამას ემყარება მისი პოლიტიკა, რომელსაც სწადია სოციალისტური კუნძულის შექმნა კაპიტალისტურ ზღვაზე... რუსეთის ყველა მკვიდრს ახასიათებს მწუხარება, დალილობა, დაღვრემილობა. ახალგაზდობასაც არ ეტყობა მხიარულობა. ცხოვრება უფერულია, ერთნაირი, მოსაწყენი. პრესა, სამხატვრო მწერლობა, თეატრი, კინო—მხოლოდ ოფიციალურ იდეოლოგიას ემსახურება. რუსეთში კონტრევოლუციონური მოძრაობა არაა, თუმცა აქა იქ აქვს ადგილი მცირეოდენს აფეთქებას. საზოგადოებრივი ბრძოლა მარტო თვითონ კომუნისტურ პარტიაში ხდება. მაგრამ ყოველთვის გასაგები არაა მოტივი ამ ბრძოლის, მისი ფორმის და სისასტიკის. ლენინის ოცდაათი ტომი უხვ მასალას აძლევს როგორც მემარჯვენებს, ისე მემარცხენებს... სულიე-

რი ცხოვრება ვითარდება ფარულად და ძნელია იმის თქმა, თუ რა სახეს მიიღებს... რუსეთი უფრო და უფრო შორდება დასავლეთ ევროპას, მისი იზოლიაცია იზრდება. სრულებით არა იციან რა ევროპის ცხოვრებაზე...»



ცნობილი ყურნალისტი შეფერი (გაზ. «ბერლინ. ტაგებლატი»-ს კორესპონდენტი, რომელიც ბოლშევიკებმა მოსკოვიდან გამოაძევეს ამას წინად) სწერს გაზ. «ოხსერვეში»: «საბჭოთა რესპუბლიკის ეხლანდელს ამბებს მიყავს ქვეყანა კრიზისისკენ. ეს უეჭველია ყოველ მიუდგომელ მეთვალყურისათვის. ამ მდგომარეობის საფუძველს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კრიზისი, რომელიც იმდენად დიდია, რომ ემუქრება თვით ბოლშევიკურ წესწყობილებას... კრემლის ბრძანებლები იმეორებენ: ჩვენ რკინის ნერვები გვაქვს. ისინი ფიქრობენ, რომ რადაც უნდა დაუჯდეთ, სოციალიზაციის განახორციელებენ. ირწმუნებოდენ, რომ ხუთწლიანი გეგმა ოთხი წლის შემდეგ საწაულს მოახდენს სახელმწიფოს სამრეწველო განვითარებაში. ხლო ამ ბოლო დროს ეს მავარ ნერვებიანი ხალხიც ხედავს საქმის ნამდვილ ვითარებას. ამის შედეგია მარჯვენა ოპოზიციის გამოცოცხლება და... მისი დამარცხება. შარშან იანვარში მოხდა სასახლის რევოლუცია. იმან იფეთქა უფრო ადრე, ვიდრე მის მეთაურებს უნდოდათ და ამიტომ დამარცხდა. ბუხარინმა მოუფიქრებლად კამენევს წერილი მისწერა, სადაც ამბობდა—სტალინი ქვეყანას ღუბავს და უნდა გადავყენოთ. ეს წერილი სტალინს ჩაუვარდა ხელში, რომელმაც, პარტიული აპარატის მეხებებით დაამარცხა თავისი მტრები (სამეული: ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი) და გახდა სრული ბატონ-პატრონი პოლიტიურში და ესლა თამამად შეუძლია სთქვას: «პოლიტიურა მე ვარა»... ყველას ასეთი «მაგარი ნერვები» არა აქვს, როგორც სტალინს. ბევრი ხედავს იმ წინამდებეობას, რომელიც არსებობს სახელმწიფო თეორიასა და ქვეყნის ცხოვრების პირობებს შორის. თუ სტალინის გეგმა დაიმსხვრა, მთელი სახლი თავს დაენგრევა მის ამშენებლებს. ამან მეტად ჩააფიქრა ბევრი კომუნისტი. სასიკვდილო საფრთხე არც ჯარშია, არც გლეხობაში, არც ქალაქის მცხოვრებლებში, არამედ თვითონ კომუნისტურ პარტიის რიგებში. საფრთხეა მემარჯვენე ოპოზიციისაგან და მემარცხენებისაგანაც. კომუნისტური ახალგაზდობა მემარცხენეა; მან არ იცის, რა ხდება რუსეთს გარეთ. სტალინს ეშინია ამ ახალგაზდობის. იგი ჰკვიანი ტაქტიკოსია. მარცხნივ გადაიხარა ახლა, თუმცა ხედავს ამის საშიშროებას. მაგრამ უშველის ეს ნაბიჯი? არ აღუდგება მასვე ის ახალგაზდობა, რომელიც გაქლენთლია სიტყვებით ოქროს სამეფოს შესახებ?»





ბოლშევიკების შემოსევა საქართველოში

«ბრძოლის სმა»-ში დაბეჭდილია საუბარი ბ. ბე-სედოვსკისთან შესახებ ბოლშევიკების შემოსევისა საქართველოში.

«საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრების ინიციატივა ეკუთვნოდა კავკასიელ ბოლშევიკების ჯგუფს, რომელსაც სათავეში უდგა ს. ორჯონიკიძე და რომელშიც შედიოდნენ ყველა ცნობილი ქართველი ბოლშევიკები... ხოლო მთავარი როლი ამ საქმეში ითამაშა სტალინმა—იმ დროს «ეროვნებათა კომისარმა»; სტალინმა დასვა კითხვა მოსკოვის პოლიტიბიუროში და გამოვიდა მომხსენებლათ. მისი მოხსენების მთავარი მოსაზრებები იყო: 1) ბაქოს ნავთის დაპატრონება თავისთავად სვამს ბათუმის ხელში ჩაგდების საკითხს, რის გარეშე საბჭოთა რუსეთი ვერ შესძლებს ბაქოს ნავთის სავსებით გამოყენებას; საქართველოს მენშევიკური მთავრობა, რომელიც—ორწმუნებოდა სტალინი—უკვე არ გვაძლევს ცისტერნების საკმარის რიცხვს და არ უშვებს მატარებლებს, მომავალში ყოველნაირად შეუშლის ხელს ბათუმის გზით ნავთის და მის პროდუქტების გაზიდვას. 2) საქართველოს მოსახლეობის ყველა წრეები, განსაკუთრებით კი გლეხობა და ინტელიგენცია შეპყრობილნი არიან სიძულვილით მენშევიკური მთავრობის მიმართ; ქართველი ხალხი ადვილად შეურიგდება ყოველსავე ხელისუფლებას, რომელიც ამ მისთვის საძულველ მთავრობის ადგილს მოკვა.

სტალინის წინააღმდეგ ძლიერ სასტიკად გაილაშქრა ლენინმა. მან გამოსთქვა რწმენა, რომ ქართველ სოციალდემოკრატებთან ადვილი იყო შეთანხმება საქართველოს გზით ბაქოს ნავთის გაზიდვის შესახებ; რაც შეეხება სტალინის ცნობას, თითქოს ქართველი გლეხობა და ინტელიგენცია სიძულვილით ეკიდებოდა მენშევიკურ მთავრობას, ლენინს ეს სრულიად არ სჯეროდა. მაგრამ მთავარი მისი მოსაზრება იყო რწმენა, რომ საქართველოზე თავდასხმა გამოიწვევდა ინგლისის ჩარევას, რაც დიდ საფრთხეს მოასწავებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

საინტერესოა, რომ ამ დავაში ტროცკი უფრო ახლო იყო სტალინთან, ვინემ ლენინთან.

უკანასკნელის წინადადების თანახმად, პოლიტიბიურომ დაადგინა, არ აყოლოდა ამ ავანტიურას. მაგრამ პოლიტიბიუროს დადგენილებამ სტალინს ვერ ააღებია ხელი თავის განხრახვანზე; ის განაგრძობდა მუშაობას, მხოლოდ რამდენიმედ შესცვალა პლანი; გავრცელებულ იქნა ახალი ვერსია: თითქოს საქართველოს განაპირა მოსახლეობა, სომეხ-ადერბეიჯანელ-ოსებისაგან, საქართველოს მთავრობით უკმაყოფილო, ამზადებს აჯანყებას; სტალინი მოითხოვდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვითომდა მოსალოდნელი აჯანყება წარმატებით განვითარდებოდა და აჯანყებულები ტფილისზე წავიდოდნენ, წითელი არმია გამოეხლყო მათ დასახმარებლათ.

მეორე მხრით ჩიჩერინმა გააკეთა პოლიტიბიუროში მოხსენება: ბრიტანეთის მთავრობის ზოგიერ-

თმა წარმომადგენლებმა გააცხადეს კერძო ლაპარაკში, რომ ინგლისი არაა დაინტერესებული ამიერკავკასიაში...

ლენინი მაინც ეწინააღმდეგებოდა სტალინის პლანს.

მაგრამ პოლიტიბიუროს წევრებს ეკვი არ შესდიოდათ, რომ სტალინი და ორჯონიკიძე განახორციელებდნენ განხრახულ გეგმას: მოაწყობენ ვითომდა აჯანყებას, რომელშიაც საქართველოს განაპირა გლეხების როლში გამოიყვანდნენ გადაცმულ წითელ არმიელებს. ნამდვილათ კი, ეს თვალთმაქცობაც კი არ ყოფილა ნახმარი, ყველაფერი მოახდინეს უხეშათ: წითელი არმიის ნაწილები არტილერიით პირდაპირ შეიჭრნენ საქართველოს საზღვრებში.

როცა მოვიდა პირველი ცნობები ბრძოლებზე წითელი არმიის და ქართულ ძალებს შორის, ლენინმა მოითხოვა სამხედრო მოქმედების დაუყონებლივი შეჩერება და საქართველოზე თავდასხმის მოწყობათა უმაღლესი სასჯელით დასჯა. გაიმართა მოლაპარაკება მოსკოვსა და კავკასიის წითელი არმიის სარდლობას შორის. მაგრამ ტფილისის დაცემის ამბავმა შეატრიალა მდგომარეობა: ლენინმა განაცხადა—რადგან საქმე წარმატებით დამთავრდა, რაზე ნაირად უნდა მივაფუჩიხოთო; მარცხი რომ მომხდარიყო, თავდასხმის მოწყობის თავი გადავარდებოდაო.»

ცხადია, აქედან არავინ დაასკვნის, რომ ლენინი არსებითად წინააღმდეგი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობის: მას უნდოდა ამის განხორციელება უფრო «რბილად» მხოლოდ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი

(გაზეთებიდან)

ნოემბრის 5 სვირის სადგურზე რკინის გზის მცველმა რევოლუერით მოკლა ინჟინერი კ. ფერაძე და სასიკვდილოთ დასჯრა ინჟ. ა. ჯაფარიძე.

— ტფილისში გარდაიცვალა ალ. ცაგარელი, ყოფილი პროფესორი ქართული ენისა პეტერბურგის უნივერსიტეტში. განსვენებული დაბადებული იყო 1844 წ. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ქართული ენის, მწერლობის და ისტორიის შესახებ, რომელთაგან ზოგიერთი გადათარგმნილია უცხო ენაზე.

— ტფილისში გაიხსნა საქართველოს მხატვართ. საზოგადოების სურათების და ქანდაკების მორიგი გამოფენა. გამოფენილია 39 მხატვრის ნაწარმოები: გუდიაშვილის, თოიძის, ნიკოლაძის, სანაძის, მაყაშვილის, ქუთათელაძის, ციმაკურიძის, გვანცელაძის, ჯავახიშვილის, წერეთლის, კოტეტიშვილის, ლანსერეს, ტატევისიანის, ფოგელის, შარლემანის, გველესიანის და სხ.

— მომავალ გაზაფხულზე გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართება ქართული ხელოვნების ნიმუშების გამოფენა.

— ზუგდიდში დასწვეს კოლექტივის წევრის კვარაცხელიას ქვრივის მთელი მოსავალი და სახლკარი.

— თელავის მახლობლად უცნობი პირები თავს დაესხნენ ღამე ვარდისუბნის კოლექტივს და მოჰკლეს ოთხი ხელმძღვანელი წევრი.

— ამჟამად დასავლეთ საქართველოში მცხოვრებთა თითქმის 10 პროცენტი შეპყრობილია პელაგრით.

აღსანიშნავია, რომ პელაგრა იწვევს სხვა სენების გაძლიერებასაც, რაც ართულებს მის წინააღმდეგ ბრძოლას. მაგალითად, პელაგრით შეპყრობილი, თუ მას სუსტი ჰქონდა ფილტვები, ავადდება ქლეით, ჭაჭიების ავადმყოფობით და სხ. პელაგრა გარდა იმისა, რომ თავის მხრით დიდად ასუსტებს ორგანიზმს, იმავე დროს ნიადაგს უქმნის სხვა სენების გამძაფრებას და აქტიურ ფორმებში გამოჩენას.

საერთოდ პელაგრა პირველ რიგში იწვევს სისხლნაკლებობას.

იმავე დროს პელაგრა იწვევს ფსიქიურ სისუსტესაც.

პელაგრის გავრცელებასთან ერთად ეპიდემიური ხასიათი მიიღო ანკილოსტომოზით დაავადებამაც. ანკილოსტომოზი არის ნაწლავების წვრილი, ძნელად შესახედი ჭიები, რომლებიც იწვევენ ნაწლავების ანთებას და მთელი სტომაქის საშიშ ფორმებში დაავადებას.

— გერმანიიდან საქართველოში ჩავიდა ვეტერინარობის დოქტორი ოტო ბედერკე, რომელიც მიიწვია მიწსახომმა საქართველოში საქონლის სენების გავრცელების შესასწავლად.

დოქ. ბედერკემ ქართველ სპეციალისტების თანხლებით უკვე მოიარა მესაქონლეობის რაიონები, სადაც ჩატარა სამეცნიერო ცდები საქონლის სენების გავრცელების მიზეზების გამოსარკვევად.

გაზეთის თანამშრომელთან საუბარში დოქ. ბედერკემ განაცხადა: გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ საქართველოში ძლიერ გავრცელებულია საქონლის სხვადასხვა სენები. განსაკუთრებით მძვინვარებს ციებ-ცხელება და პეპელა. უკანასკნელი ცხვრის ავადმყოფობაა, მაგრამ საქართველოში ეს ავადმყოფობა მოედვა მსხვილფეხა საქონელსაც, მაგალითად პეპელა აღმოაჩნდა კამეჩებს და სხვ.

აღსანიშნავია, რომ პეპელა სხვადასხვა ფორმებშია გავრცელებული, რაც აძნელებს მის წინააღმდეგ რადიკალურ ბრძოლას.

საქონლის სენების ეპიდემიას ხელს უწყობს ტიკიპა, რომლითაც შეპყრობილია საქონლის დიდი რაოდენობა.

საქონელს იმდენი ტიკიპა ახვევია, რომ მის წინააღმდეგ ჩვეულებრივი საშუალებებით ბრძოლა (ნავთი და სხ.) დადებით შედეგებს ვერ იძლევა.

სხვათა შორის შირაქის რაიონში, სადაც როგორც წვრილფეხა, ისე მსხვილფეხა საქონელს ახვევია ტიკიპა, უკანასკნელ ხანებში გაჩნდა შოშიების გუნდები. შოშიები ნისკარტებით აცლიან საქონელს

ტიკიპას და ამით დიდ დახმარებას უწევენ მესაქონლეებს ტიკიპას წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ, სამწუხაროდ, მოსახლეობას ვერ შეუგნია ამ ფრინველების სარგებლიანობა და სოცავს მათ. კახეთის ოლქში ზოგიერთ ადგილას მსხვილფეხა საქონელს გასჩენია ყვავილი და ვენერიული სენი (სუსუნატი), აღმოსავლეთ საქართველოში პეპელით დაავადებულია საქონლის ძალიან დიდი რაოდენობა, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში და აჭარისტანში პეპელით და ციებ-ცხელებით დაავადებულია ვაცილებით მეტი, რაც განადგურებას უქადის მესაქონლეობას. ზოგ რაიონში საქონელს თვალების არეში გაჩენილი აქვს ჭიები, ეს თითქმის სრულებით ახალი მოვლენაა, რის შესახებ საბიოლოგი ლიტერატურაში არავითარი ცნობები არ მოიპოვება.

— დიდუბეში, მიწის თხრის დროს მუშები წააწყდნენ უძველეს სამარხებს. აღმოჩენილია ორგვარი ხასიათის სამარხები: ერთი, როდესაც მიცვალებული დამარხულია ჭურში და მეორე, როდესაც მიცვალებული დასაფლავებულია მჯდომარე.

სამარხებში აღმოჩენილია სპილენძისა და ბრინჯაოს ქინძისთავეები, ძველებური მძივები და მოშავო თიხისაგან დამზადებული ჭურჭლეულობა.

თბილისში ბესიკის და ყოფ. გიმნაზიის ქუჩების კუთხეში ახლად დაწყებული სახლის საძირკველის ჩასაყრელად მიწის ამოთხრის დროს 6 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს უძველესი დროის მძივები და სხვა სამკაულები.

— საბჭოთა კავშირის კომ. პარტიის დადგენილებით დაარსდა ამიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, «სოფლის მეურნეობის გარდასაქმნელად შემუშავებულ ძირითად ღონისძიებების განხორციელების და სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში საერთო ფედერატიულ ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიზნით».

უუგვილია ამას მალე მოყვება საქართველოს საკუთარის მიწათ მოქმედების კომისარიატის გაუქმება.

— საქარ. სახ. კომისართა საბჭო ასე ახასიათებს თავის დადგენილებაში ტფ. მუშათა კოლპერატივების მოღვეწობას:

«მუშაკაპების» არასაკმაო ხვედრითი წონა საწვრიმალე ბაზარზე, სავაჭრო ქსელის სუსტად განვითარება ქალაქის განაპირა უბნებში, ბიუროკრატიული ვადამახინჯებანი როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე მის ქვედა საფეხურის ქსელში, არანორმალური ურთიერთობა გამყიდველებსა და მყიდველებს შორის, სისტემატიური ქურდობა და გაფლანგვები, მყიდველების წონაში და ზომაში მოტყუილება, რაც შედეგია იმისა, რომ მუშაკაპის აპარატში მოკალათებული არიან სოციალურად უცხო და საბჭოთა კოლპერაციისათვის მანენ ელემენტები.»

უკრაინელთა შორის

დაუნდობელი ბრძოლა უკრაინელ გლეხებსა და კომუნისტურ მთავრობას შორის გასულ თვეში დაგვირგვინდა ახალი «შეთქმულობის» აღმოჩენით. მოსკოვი უმოქმედობას უსაყვედურებდა უკრაინის ჩეკას და უკანასკნელმა თავის გასამართლებლად ხელი მიჰყო უკრაინელ ინტელიგენტებს და მრავალი პირი დაატუსაღა, ბევრი ისეთი, რომელთაც პოლიტიკაში არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა.

— ვარშავაში შესდგა პოლონეთის სემის უკრაინელ დეპუტატების კრება, რომელსაც დაეწრო დიდძალი საზოგადოება. კრებამ პროტესტი გამოიტანა კომუნისტურ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც ბოლო დროს მეტად გაახშირა უკრაინელ მამულიშვილების დატუსაღება—მეცნიერების, მწელების, მუშების, გლეხების, სტუდენტების.

— სოლოგვებიდან გამოქცეულ 18 კაცში თერთმეტი უკრაინელია. ამ უკრაინელების გადმოცემით, სოლოგვებში ორი ათასი უკრაინელია დატუსაღებული.

— კიევიდან იტყობინებიან, რომ მალე გაასამართლებენ ხუთ წითელ არმიელს, რომლებიც სისტემატურად იპარავდნენ სამხედრო საწყობიდან თოფებს და აძლევდნენ უკრაინელ გლეხებს.

— ხარკოვში გაასამართლეს 18 გლეხი, რომელთაც მოკლეს კომუნისტი ავტოატორი და გადაწვეს მთელი მისი მოსახლეობა.

— ანტიკომუნისტური მოძრაობა თანდათან იზრდება უკრაინაში. მდგომარეობა მოგვაგონებს 1920-21 წლ. აჯანყებებს. მთავრობის ტერორის საპასუხოთ გლეხები პირდაპირ სამოქალაქო ომს აწარმოებენ და შეუბრალებლათ ხოცავენ კომუნისტებს.

— ვაშინგტონიდან ცნობაა, რომ შეერთებულ შტატების სენატორების ერთმა ჯგუფმა წინადადება შეიტანა სენატში, რომ მთავრობამ იცნოს უკრაინის დამოუკიდებლობა. განცხადებაში ნათქვამია, რომ უკრაინელები წარმოადგენენ ცალკე ერს თავის საკუთარის ენით და კულტურით, რომ უკრაინის რესპუბლიკა იცნო დე-ფაქტო და დე-იურე ბევრმა სახელმწიფომ და მათ შორის თვით საბჭოთა რუსეთმა, რომელიც ამას შემდეგ თავს დაესხა უკრაინას და ძალით დაიკავა ის.

— გალიციაში უკრაინელმა სტუდენტებმა დიდი დემონსტრაცია გამართეს საბჭოთა წინააღმდეგ უკრაინაში გამეფებულ კომუნისტურ ტერორის გამო.

— უცხოეთის გაზეთებში სწერენ: პოლიტიკური მდგომარეობა უკრაინაში მწვავედება. სტალინი უნდობლათ უყურებს უკრაინელ კომუნისტებსაც და უკრაინის კომუნისტურ პარტიას გენერალურ მდივნად დაუნიშნა თავისი ნათესავი ქართველი ქართველიშვილი, რომელსაც თან გააყოლა საგანგებო რაზმი გამოცდილ ჩეკისტებისა.

ქართველებში საფრანგეთში.

კვირას ამა თვის 22 გაიმართა საფრანგეთში მყოფ ქართველთა საზოგადოების კრება, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. კრების საგანი იყო ქართული განათლების (სკოლის და ლექციების) მოწყობა პარიზში. ხოლო ამის წინ თავმჯდომარემ დ. სხირტლაძემ მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეთ, რომელშიაც აღნიშნა 1924 წ. აჯანყების მონაწილეთა დიდი გმირობა და მამულიშვილური თავგანწირულება და მოუწოდა საზოგადოებას დახრილობა სსრკ-ის პატივსაცემად ფეხზე ადგომით. ასევე პატივი სცა კრებამ ტფილისში გარდაცვალებულ პროფესორების ან. რაზმაძის და ალ. ცაგარელის ხსოვნას, რომელთა მოსაგონებლად გაიმართება ცალკე საგანგებო კრება სათანადო მოხსენებებით.

თვითონ კრების პირდაპირი საგნის შესახებ ფართო კამათი გაიმართა: ზოგს საჭიროთ მიაჩნდა ცალკე ორგანიზაციის მოწყობა, ზოგი კი ამტკიცებდა, რომ საჭიროა თვითონ არსებულ «ქართველთა საზოგადოების» ფარგალში მოეწყოს საგანმანათლებლო სექცია. დაბოლოს კრებამ აირჩია კომისია საკითხის შესასწავლათ.

წმინდი ტედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგს.

«ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტი» მიიღო სხვადასხვა ქალაქიდან სხვადასხვა დროს ქვემო აღნიშნული დახმარება, რისთვისაც იგი უღრმეს მადლობას უცხადებს როგორც ინიციატორებს აგრეთვე შემომწირველთ.

1. ბ-ნ ი. ხაინდრავასაგან—ქ. ხაობინში შეკრებილი 5. 299 ფრ.

2 ვარშავიდან—«ქართველთა პოლონელ კომიტეტის»-მიერ შეკრებილი—942 ფრ. 85 ს.

3. ბ-ნ კ. იმნაძისაგან ქ. ვარშავიდან—250 ფრ. და 29 ზლოტი (შემომწირველი: «ვარშავის კოლონიის გამგეობა»—200 ფრ., ივ. ქავთარაძე—50 ფრ., ლენ. ბაქრაძე—10 ზლოტი, ნორ. ციბაძე—15 ზლოტი, კაბ. დ. მაჟავარიანი—4 ზლოტი.)

4. ბ-ნ მ. ბარამიძისაგან—ოდენკურში შეკრებილი 490 ფრ.

5. ბ-ნ ე. ლომთათიძისაგან ქ. პრაღიდან—310 ჩეხური კრონა.

მრავალ სხვა პატივცემულ შემომწირველთა სრული სია გამოცხადებული იქნება მოკლე დროში კომიტეტის წლიური ანგარიშის დამტკიცებისთანავე.

კომიტეტის თავმჯდომარე ელ. ანხაზისა.

მოლარე ექ. ე. დეკანაშვილი.

შემაღწილესა.

საქ. სოც. დემ. მუშ. პარტ. სახლგარეგარეთელ ბიურომ მიიღო პოლიტ. გადასახლებულთათვის:

ოდენკურიდან «ქართველთა ასოციაციისაგან»—500 ფრანკი და პრაღიდან იქაურ კოლონიაში შეგროვილი (სექტემ., ოქტომ. და ნოემბრის) 485 ჩეხ. კრონა.

„დამოუკიდებელ საქართველოს“ სარჩივი 1929 წლისთვის

I. მეთაურები:

მტრები და ჩვენ 37. ტროცკის პროგნოზი 38. ველიკორსები 39. რუსეთის ნაფთი 40. 26 მაისი. ერთი პანაშვიდის გამო 41. სტალინი 42. მოსკოვის პროტესტი. ომის ლიკვიდაცია 43. ავთომაფი რუსეთი 44. ენევის პერსპექტივები 45. ინგლისი და საბჭოები 46. სამოქალაქო ომი 47. მკითხველს 48.

II. წერილები.

- არბიკე: თვითგამორკვევა თუ გაბოროტებული შოვინიზმი 40. რუსეთის სოც.-დემოკრატები და ეროვნული საკითხი 41.
- გრამერი: ბარბიუსი ლალატობს ჩაგრულთა საქმეს 44. «ტაბუ» კომუნისტს ბარბიუსს 46.
- გუშაგი: «კავკასიონი» 44.
- გ—უ: ზოგი რამ 38.
- დ. შ.: მაშინ და დღეს 40. «აი რა უყვეს საქართველოს» 41.
- ხენ: საბჭოების ქვეყანაში 47.
- ია: საბჭოთა საქართველოში 37, 38, 46, 47. ადოკატუს დიაბოლო 39. პურის სკანდალი 40. პროკრუსტას სარეცელი 41. მრისხანე გაფრთხილება 43. კომპარტიის ყრილობა 44. იშვიათი სკანდალი 45.
- იგილიძე: საახალწლო ფიქრები 37. იტალიური ფურცლები 39. წერილი რედ. მიმართ (ქართ. ეკლესიის გამო) 40. მაისი და თებერვალი 41. ეროვნული ცენტრის დაცვისათვის 48.
- ივ. ზ-შვილი: განცდილის ფიქრები 45.
- ინ—ლი: ახალი განსაცდელის წინაშე 47.
- კ.: არჩევნები ინგლისში 42.
- კაჟი: რით მოვიდა ჩვენში რუსეთი 39 და 40. გადაუარბებული იმედი 42. დიქტატურის ხერხემალი 47-48.
- კახაბერი: გოგი... ივლიანე... 38.
- ლი გ: საქართველო ციფრებით 43-48.
- მასნარაძე ლ.: სამწუხარო მოვლენა 39.
- ნუცუბიძე ი.: ახალი წელი და ჩვენი მოვალეობანი 37. ევროპის რეკონსტრუქცია 39. საბედისწერო გზით 47.
- ფინტინაძე ს.: სამი წელი 37. მომავალი საქართველო 41. აუარის ამბები 42. ეროვნული საკითხი და ბოლშევიკები 48.
- შავიშვილი ს.: საბჭოთა პოლიტიკის დამარცხება შვეიცარიისში 40. ლტოლვილთა პრობლემა 44. კომინტერნის აგენტების საქმიანობა ენევაში 45.
- შულგინი ა.: უკრაინის საკითხი 44-48.
- ჩიხუა ს.: ჩემი მოგონება 41.
- ჩღვავიძე მ.: თურქესტანში 37-38.
- * * * ახალი ეტაპი ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში 37-38.

III. საქართველოს საკითხის გარშემო.

ბოროტი ხმები 39. საქართველოს მეგობართა საზოგადოება საფრანგეთში 39. საქართველოს ელჩის მემორანდუმი 41. კავკასია და ამერიკის შეერთებული შტატები 42. საქართველო და პოლონეთი 42. დამოუკიდებლობის დღესასწაული ვარშავაში, პრაგაში, პარიზში 42. კამათი საქართველოს შესახებ 42. იტალიური გაზეთი საქ. შესახებ 42. პროტესტები საქ. ოკუპანტების დემონსტრაციების წინამდებ 43. პოლონ. გაზეთის წერილი «საქარ. საკითხი» 43. საქართვე. საკითხი 44. უკრაინის და კავკასიის საკითხი 45. საქ. საკითხი 46.

IV. კორესპონდენციები.

ქართული სკოლა ხარბინში 38. წერილი სპარსეთიდან 40. ქართველები ხარბინში 41. აჯანყება აჭარაში 42. თამარობა ხარბინში 42. ენევიდან 42. პეტლიურას პანაშვიდი ხარბინში 42. ძალა ერთობაშია (სპარსეთიდან) 44. მოვლენები 45. დამოუკიდებლობის დღე ხარბინში 46.

V. ქართველები უცხოეთში.

ქართველები საფრანგეთში 37, 38, 39, 40. ნ. ჟორდანის ლექცია 43. საქველმოქმედო საღამო 46. ნ. ჟორდანის მეორე ლექცია 47.

VI. საქართველოს ამბები: 47, 48.

VII. უცხოეთის მიმოხილვა: 37, 38, 39, 41, 45, 46, 48.

VIII. რას სწერენ ბოლშევიკებზე: 38-40, 42, 44-48.

IX. ნეკროლოგები: ან. შიხინაშვილი 38. შ. ბაქრაძე, გ. საბაშვილი და კალ. გუნია 40. ილ. ფირცხალაიშვილი 42, მერან დორიან 43.

X. სხვა და სხვა.

განცხადება ქართული ეკლესიის დაარსებისათვის 38. ქართველ მხედრების დადგენილება 39. ჩეკა პარიზში 40. ოქმი ეროვ. დემოკ. პარტიის წევრებისა 41. კ. ჩხეიძის ხსოვნას 42. მ. არსენიძის სიტყვა კ. ჩხეიძის საფლავზე 43. 29 აგვისტო 44. ბარბიუსის წიგნის წინამდებ 44. ბიბლიოგრაფია 37. უკრაინელთა შორის 38, 39, 42, 45, 48. წერილი რედაქციის მიმართ 39 და 42. ბოლშევიკების შემოსევა საქართველში.

გ ა შ ე თ ი ს ფ ა ხ ი :
წლით 20 ფრ., ნახევარი წლით 10 ფრ., ერთი № 2 ფრ.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოეგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r O U R A T A D Z È
10. rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France